

**დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური  
მოხმარების კლასიფიკატორი**

**COICOP 2018**

(სტრუქტურა და განმარტებები)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თბილისი 2021

## საინფორმაციო მონაცემები

1. წინამდებარე სტატისტიკური კლასიფიკატორი შეესაბამება დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორის საერთაშორისო ვერსიას - COICOP 2018-ს;
2. ეროვნული ვერსია შემუშავებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ;
3. დამტკიცებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 2021 წ. 27 დეკემბრის № 27 დადგენილებით “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, როგორც უმაღლესი სახელმწიფო ორგანო სტატისტიკური კლასიფიკატორების და კოდირების ეროვნული სისტემის შექმნის, წარმართვის და დანერგვის საქმეში:

- უზრუნველყოფს ინფორმაციის მუდმივ განახლებას სტატისტიკური კლასიფიკატორების შემუშავების, წარმართვის და მოდერნიზების საქმეში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.
- უზრუნველყოფს ახალ კლასიფიკატორებზე გადასვლისთვის სამუშაოთა სამართლებრივი ბაზის და მონაცემთა ავტომატიზებული ბანკის შექმნას კომპიუტერული ქსელების გამოყენებით.

## შესავალი

დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორი (COICOP) წარმოადგენს საერთაშორისო სახელმძღვანელოს შინამეურნეობების დანახარჯების კლასიფიცირებისთვის. COICOP-ის მიზანია საქონლისა და მომსახურების ჰომოგენური (ერთგვაროვანი) კატეგორიების ჩარჩოს შექმნა, შინამეურნეობების სამომხმარებლო დანახარჯების ფუნქციის ან დანიშნულების მიხედვით.

COICOP-ი წარმოადგენს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (SNA) განუყოფელ ნაწილს, თუმცა ის აგრეთვე გამოიყენება სხვა სტატისტიკურ სფეროებშიც, როგორცაა: შინამეურნეობების ბიუჯეტების გამოკვლევის და ცხოვრების დონის ანალიზის საფუძველზე წარმოებული შინამეურნეობების დანახარჯების სტატისტიკა; სამომხმარებლო ფასების ინდექსები; მსყიდველობითი უნარის პარიტეტების მეშვეობით მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) საერთაშორისო შედარებები; კულტურის, სპორტის, საკვების, ჯანდაცვის და ტურიზმის სტატისტიკა.

შინამეურნეობების დანახარჯების საერთაშორისო დონეზე კლასიფიცირების იდეა 1923 წელს დაიბადა და ამის შედეგად, სამი წლის შემდეგ შეიქმნა ამ დანახარჯების პირველი, საკმაოდ ზოგადი კლასიფიკაცია, რომელიც შემუშავებულ იქნა შრომის სტატისტიკოსების საერთაშორისო კონფერენციის მიერ. როდესაც 1953 წელს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (SNA) პირველი ვერსია გამოქვეყნდა, ის შეიცავდა ასევე ინდივიდუალური სამომხმარებლო დანახარჯების კლასიფიკაციას, რომელიც SNA-ის ყოველ ახალ ვერსიასთან ერთად ვითარდებოდა.

COICOP-ის სახელის მქონე პირველი კლასიფიკატორი გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ 1999 წლის მარტში გამოქვეყნდა, SNA-ის სამ სხვა ფუნქციონალურ კლასიფიკაციასთან ერთად: შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების დანიშნულების კლასიფიკაცია (COPNI), სახელმწიფოს ფუნქციების კლასიფიკაცია (COFOG) და დანიშნულების მიხედვით მწარმოებლების დანახარჯების კლასიფიკაცია (COPP).

წინამდებარე ვერსია წარმოადგენს COICOP-ის პირველ განახლებას. ახალი კლასიფიკაცია წარმოადგენს რევიზიის პროცესის შედეგს, რომელიც ოფიციალურად დაიწყო 2015 წელს და აერთიანებს მსოფლიოს მრავალი კლასიფიკაციის ექსპერტის და მომხმარებლის წვლილს. COICOP 2018 არის უფრო დეტალური წინა ვერსიასთან შედარებით, მომხმარებლების მხრიდან მეტი დეტალიზაციის საჭიროებებიდან გამომდინარე. მასში ასევე გათვალისწინებულია სხვა საკითხები, რომელიც მოითხოვდა კლასიფიკაციის განახლებას. ახალი COICOP 2018 ასახავს ზოგიერთ სფეროში საქონელსა და მომსახურებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს, აუმჯობესებს COICOP-ის შესაბამისობას სხვა კლასიფიკაციებთან, ასევე ასახავს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან წარმომოხილ სტატისტიკური ხასიათის საჭიროებებს.

2018 წლის მარტში გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ განიხილა და მიიღო განახლებული

კლასიფიკაცია COICOP 2018, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტი.

### კლასიფიკატორის სტრუქტურა და კოდირების სისტემა

COICOP 2018-ის საერთაშორისო ვერსიას გააჩნია ოთხდონიანი იერარქიული სტრუქტურა. დეტალიზაციის დონე მასში იზრდება 2 ნიშნიდან 5 ნიშნამდე. გარდა ამისა, კლასიფიკატორის ეროვნულ დონეზე დეტალიზაციისას საქსტატის მიერ დაემატა იერარქიის მეხუთე დონე, რომელსაც 6-ნიშნა კოდი შეესაბამება. კლასიფიკატორის სტრუქტურის მაგალითი ქვემოთ არის მოყვანილი:

დაჯგუფება		დაჯგუფების კოდი	დაჯგუფების დასახელება
საერთაშორისო დონეები	განყოფილება	<b>03</b>	<b>ტანსაცმელი და ფეხსაცმელი</b>
	ჯგუფი	<b>03.1</b>	<b>ტანსაცმელი</b>
	კლასი	<b>03.1.1</b>	<b>ტანსაცმლის დასამზადებელი მასალები (SD)</b>
	ქვეკლასი	<b>03.1.1.0</b>	<b>ტანსაცმლის დასამზადებელი მასალები (SD)</b>
ეროვნული დონე		03.1.1.0.1	ტანსაცმლის დასამზადებელი ბამბის ქსოვილები
		03.1.1.0.2	ტანსაცმლის დასამზადებელი შალის ქსოვილები
		03.1.1.0.3	ტანსაცმლის დასამზადებელი აბრეშუმის
		03.1.1.0.4	ტანსაცმლის დასამზადებელი ქსოვილები სინთეზური ბოჭკოსან
		03.1.1.0.5	ტანსაცმლის დასამზადებელი ქსოვილები ნატურალური და სინთეზური ბოჭკოების
		03.1.1.0.6	ტყავი, ბეწვი, წებვადი ლენტა, ბამბა და თექა ტანსაცმლის დასამზადებლად
		03.1.1.0.9	ტანსაცმლის დასამზადებელი სხვა მასალები.

### კონცეპტუალური საფუძველი

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში (2008 SNA, პარაგრაფი 9.81) შინამეურნეობების ფაქტიური მოხმარება განსაზღვრულია სამი კომპონენტით:

1. შინამეურნეობების საბოლოო სამომხმარებლო დანახარჯი;
2. სახელმწიფოს დანახარჯი სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც მიწოდებულია შინამეურნეობებისთვის სოციალური ტრანსფერის სახით;

3. შმაკო-ების (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული კერძო ორგანიზაციები) დანახარჯი სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც მიწოდებულია შინამეურნეობებისთვის სოციალური ტრანსფერის სახით.

„შინამეურნეობების საბოლოო სამომხმარებლო დანახარჯი“ განსაზღვრულია 2008 SNA-ის 9.56 პარაგრაფში. ის მოიცავს დანახარჯებს სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შესაძენად, შინამეურნეობების მიერ მათი საბოლოო მოხმარების მიზნით, ასევე ბარტერული ტრანზაქციების შეფასებულ ან იმპუტირებულ ღირებულებას, ნატურის სახით მიღებულ საქონელსა და მომსახურებას და ერთსა და იმავე შინამეურნეობის მიერ წარმოებულ და მოხმარებულ საქონელსა და მომსახურებას. შინამეურნეობების საბოლოო სამომხმარებლო დანახარჯი მოიცავს რეზიდენტი შინამეურნეობების სამომხმარებლო დანახარჯებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

### პროდუქტების ტიპები

კლასების და ქვეკლასების უმეტესობა შედგება საქონლისგან ან მომსახურებისგან. კლასები და ქვეკლასები, რომლებიც შეიცავს საქონელს, შეიცავენ აღნიშვნებს “ND”, “SD” ან “D”, რომელიც შეესაბამება ხანმოკლე მოხმარების (non-durable), საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების (semi-durable) და ხანგრძლივი მოხმარების (durable) საქონელს. „S“-აღნიშვნა შეესაბამება კლასებს და ქვეკლასებს, რომელიც შეიცავს მომსახურებას (services).

განსხვავება ხანმოკლე მოხმარების საგნებსა (ND) და ხანგრძლივი მოხმარების საგნებს (D) შორის დამყარებულია იმაზე, საქონელი მოიხმარება მხოლოდ ერთხელ, თუ განმეორებით ან უწყვეტად ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში (2008 SNA, პარაგრაფი 9.42). უფრო მეტიც, ხანგრძლივი მოხმარების საქონელი, როგორცაა ავტომობილი, მაცივარი, სარეცხი მანქანა, ტელევიზორი, უფრო მაღალი ფასით ხასიათდება. საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი განსხვავდება ხანგრძლივი მოხმარების საქონლისაგან სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი პერიოდით, რომელიც ხშირად ერთ წელზე ნაკლებია, ხოლო ფასი - მნიშვნელოვნად დაბალი.

ზოგიერთი კლასი და ქვეკლასი მოიცავს როგორც საქონელს, ისე მომსახურებას, ვინაიდან პრაქტიკულად ძნელია მათი დაყოფა ცალკე საქონლად და მომსახურებად. ასეთი კლასები და ქვეკლასები აღნიშნულია (S)-ით, რადგან მომსახურების კომპონენტი უფრო დომინანტურია. ასევე, არის კლასები და ქვეკლასები, სადაც გვხვდება ერთდროულად სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი. აღნიშნულ კლასებს და ქვეკლასებს აღნიშვნები (ND), (SD) ან (D) მინიჭებული აქვთ იმის მიხედვით, თუ რომელი ტიპის საქონელია დომინანტური.

## შინაარსი

საინფორმაციო მონაცემები.....	2
შესავალი .....	3
კლასიფიკატორის სტრუქტურა და კოდირების სისტემა .....	4
კონცეპტუალური საფუძველი .....	4
პროდუქტების ტიპები.....	5
01 სურსათი და უალკოჰოლო სასმელები.....	7
02 ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო და ნარკოტიკები.....	38
03 ტანსაცმელი და ფეხსაცმელი .....	43
04 საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები.....	54
05 ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება.....	69
06 ჯანმრთელობა.....	92
07 ტრანსპორტი .....	114
08 ინფორმაცია და კომუნიკაცია .....	132
09 დასვენება, სპორტი და კულტურა .....	142
10 განათლება .....	168
11 რესტორნები და ღამისთევის მომსახურება .....	175
12 დაზღვევა და საფინანსო მომსახურება .....	184
13 პირადი ჰიგიენა, სოციალური დაცვა და სხვადასხვა საქონელი.....	190
14 შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული კერძო ორგანიზაციების (შმაკო) ინდივიდუალური სამომხმარებლო დანახარჯები.....	201
15 სახელმწიფო სექტორის ინდივიდუალური სამომხმარებლო დანახარჯები .....	207

# 01 სურსათი და უალკოჰოლო სასმელები

განყოფილება 01 მოიცავს სურსათს (01.1) და უალკოჰოლო სასმელებს (01.2), რომელიც შეძენილია შინამეურნეობების მიერ უპირატესად სახლში მოხმარების ან მომზადების მიზნით. ის არ მოიცავს იმ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებს, რომელიც მიეწოდება კვებითი მომსახურების ფარგლებში (განყოფილება 11).

ეს განყოფილება ასევე მოიცავს პირადი მოხმარების მიზნით სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებისთვის პირველადი საქონლის გადამუშავებით მომსახურებას (01.3).

სურსათი შედგება ყველა იმ საკვები პროდუქტისგან, რომელსაც შინამეურნეობები შეიძენენ და მოიხმარენ კვების მიზნით. ის მოიცავს: მარცვლეულს და მარცვლეულის პროდუქტებს; ხორცს; თევზეულს და ზღვის სხვა პროდუქტებს; რძეს, რძის სხვა პროდუქტებს და კვერცხს; ზეთს და ცხიმს; ხილს და თხილეულს; ბოსტნეულს, ბოლქვოვანებს, პლანტაინებს, მოსამზადებელ ბანანებს და პარკოსნებს; შაქარს, ტკბილეულს და დესერტებს; მარილს, სოუსებს და სანელებლებს, საკმაზებს, მწვანილეულსა და თესლებს.

განყოფილება 01 ასევე მოიცავს ბავშვის საკვებს და მზა საკვებს, რომლის მოხმარებაც შესაძლებელია პირდაპირ ან გაცხელების შემდეგ. უალკოჰოლო სასმელები მოიცავს იმ სასმელებს, რომლებიც არ შეიცავს ალკოჰოლს.

## 01.1 სურსათი

სურსათი, რომელიც შეძენილია შინამეურნეობების მიერ უპირატესად სახლში მოხმარების ან გადამუშავების მიზნით. ის არ მოიცავს იმ სურსათს, რომელიც მიეწოდება საკვებით უზრუნველყოფის მომსახურების ფარგლებში.

სურსათი შედგება ყველა იმ საკვები პროდუქტისგან, რომელსაც შინამეურნეობები შეიძენენ და მოიხმარენ კვების მიზნით. ის მოიცავს: ბურღულეულს და ბურღულეულის პროდუქტებს; ხორცს და ხორცის პროდუქტებს; თევზეულს და ზღვის სხვა პროდუქტებს; რძეს, რძის სხვა პროდუქტებს და კვერცხს; ზეთს და ცხიმს; ხილს და თხილეულს; ბოსტნეულს, ბოლქვოვანებს, პლანტაინებს, მოსამზადებელ ბანანებს და პარკოსნებს; შაქარს, ტკბილეულს და დესერტებს; მარილს, სოუსებს და სანელებლებს, საკმაზებს, მწვანილეულსა და თესლებს.

მოიცავს:

- პროდუქტები, რომლებიც მოითხოვს შემდგომ მომზადებას, ასევე მზა საკვები.

არ მოიცავს:

- სურსათის და სასმელების ადგილობრივი მასშტაბით მიწოდების მომსახურება, როდესაც მათი ღირებულება ცალკეა გამოყოფილი (07.4.9.2);
- პროდუქტები ცხოველების გამოსაკვებად (09.3.2.2);
- კვებითი მომსახურების მიერ მიწოდებული სურსათი (ჯგუფი 11).

## 01.1.1 ბურღულეული და ბურღულეულის პროდუქტები (ND)

### 01.1.1.1 ბურღულეული (ND)

გამომშრალი ბურღულეული, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, წინასწარი მომზადებით (ორთქლზე) ან მის გარეშე, მაგრამ შემდგომი დამუშავების გარეშე.

მოიცავს:

- 01.1.1.1.1 ბრინჯი, ორთქლით დამუშავებულის ჩათვლით;
- 01.1.1.1.2 წიწიბურა;
- 01.1.1.1.3 ხორბალი;
- 01.1.1.1.4 სიმინდი შემოსული;
- 01.1.1.1.5 ჭყინტი სიმინდი;
- 01.1.1.1.6 ქერი;
- 01.1.1.1.7 შვრია;
- 01.1.1.1.8 ჭვავი;
- 01.1.1.1.9 ფეტვი და სხვა მარცვლეული.

არ მოიცავს:

- მარცვლეულის ფქვილი (01.1.1.2);
- საუზმის მარცვლეული (01.1.1.4);
- მარცვლეულის საფუძველზე მომზადებული საკვები, როგორცაა მზა წვნიანები (01.1.9.1);
- საბავშვო ბრინჯის ფაფები და სხვა საბავშვო საკვები მარცვლეული (01.1.9.2);
- თესლი დასათესად (09.3.1.2).

### 01.1.1.2 მარცვლეულის ფქვილი (ND)

ბურღულეულის ქვეკლასში ნახსენები მარცვლეულის ფქვილი, როგორც სწრაფი მომზადების (წინასწარ მომზადებული/ ორთქლით დამუშავებული/ საფუვრის დამატებით), ისე არა სწრაფი მომზადების.



მოიცავს:

- 01.1.1.2.1 ხორბლის ფქვილი;
- 01.1.1.2.2 ბრინჯის ფქვილი;
- 01.1.1.2.3 სიმინდის ფქვილი;
- 01.1.1.2.4 ქერის ფქვილი;
- 01.1.1.2.5 ფეტვის ფქვილი;
- 01.1.1.2.6 შვრიის ფქვილი;
- 01.1.1.2.7 ჭვავის ფქვილი;
- 01.1.1.2.8 სხვა მარცვლეულის ფქვილი;
- 01.1.1.2.9 სწრაფი მომზადების ფქვილი პურ-ფუნთუშეულისთვის, საფუჯრის დამატებით.

არ მოიცავს:

- ფქვილი ბავშვის საკვების სახით, საბავშვო ბრინჯის ფაფები და სხვა საბავშვო საკვები ბურღულეული (01.1.9.2).

#### **01.1.1.3 პური და პურპროდუქტები (ND)**

მოიცავს:

- 01.1.1.3.1 ხორბლის პური;
- 01.1.1.3.2 სხვა პური (ჭვავის, ქატოს, ბრინჯის და სხვა);
- 01.1.1.3.3 ხრაშუნა პური, ორცხობილა, კრეკერი; ტორტილია;
- 01.1.1.3.4 პიცა გულის გარეშე, წინასწარ მომზადებული ან მომზადების გარეშე;
- 01.1.1.3.5 ფუნთუშა, კოჭას თაფლაკვერი და მსგავსი ნაწარმი;
- 01.1.1.3.6 ნამცხვარი;
- 01.1.1.3.7 ვაფლი;
- 01.1.1.3.8 სხვა პურპროდუქტები.

#### **01.1.1.4 სასაუზმე ბურღულეული (ND)**

მოიცავს:

- 01.1.1.4.1 სიმინდის ფანტელები;
- 01.1.1.4.2 შვრია და შვრიის ფანტელები,
- 01.1.1.4.3 მიუსლი, გრანოლა, ჰაეროვანი მარცვლეული ჰაეროვანი ბრინჯის ნამცხვრების ჩათვლით;
- 01.1.1.4.4 მანანის ბურღული;
- 01.1.1.4.5 სასაუზმე ბურღულეული თხილით ან ჩირით.

არ მოიცავს:

— ბატიბუტი (1.1.1.9).

#### 01.1.1.5 მაკარონი, ატრია, კუსკუსი და მსგავსი ნაწარმი (ND)

მოიცავს:

01.1.1.5.1 მოუმზადებელი მაკარონი (ფარშირებული ან არაფარშირებული)

01.1.1.5.2 კუსკუსი;

01.1.1.5.3 ვერმიშელი;

01.1.1.5.4 მოუმზადებელი პელმენი, ხინკალი, რავიოლი და მსგავსი.

01.1.1.5.5 სხვა მსგავსი ნაწარმი

არ მოიცავს:

— ბულგური (01.1.1.1);

— მზა კერძები, ფარშირებული მაკარონის ჩათვლით; კუსკუსის მზა კერძები (01.1.9.1).

#### 01.1.1.9 სხვა ბურღულეული და ბურღულეულის პროდუქტები (ND)

მოიცავს:

01.1.1.9.1 მზა ნარევი და ცომი გამომცხვარი პროდუქტების მოსამზადებლად;

01.1.1.9.2 პოპკორნი;

01.1.1.9.3 ბურღულეულის ბატონები;

01.1.1.9.4 ალაო; ალაოს ექსტრაქტი;

01.1.1.9.5 ბურღულეულის ჩიპსები;

01.1.1.9.6 სეიტანი და ხორცის სხვა შემცველები, ბურღულეულისგან დამზადებული.

არ მოიცავს:

— სლიოს ხორცი და ბურგერები, ვეგეტარიანული ბურგერები, ტემპე და ხორცის სხვა შემცველები, დამზადებული ბოსტნეულისა და თხილეულისგან; კარტოფილის სახამებელი, ტაპიოკა, საგო და სხვა სახამებლები (01.1.7.9);

— მზა კერძები ბურღულეულისგან, როგორცაა ბურღულეულისგან დამზადებული მზა წვნიანები (01.1.9.1).

**01.1.2 ცოცხალი ცხოველები, ხორცი და ხმელეთის დაკლული ცხოველების სხვა ნაწილები (ND)**

**01.1.2.1 ხმელეთის ცოცხალი ცხოველები (ND)**

ხმელეთის ცოცხალი ცხოველები, როგორც შინაური, ისე გარეული, საკვებისთვის.

მოიცავს:

- 01.1.2.1.1 მსხილფეხა რქოსანი პირუტყვი (ძროხა, ხარი, ხბო), კამეჩი, ბიზონი და სხვ.;
- 01.1.2.1.2 ღორი;
- 01.1.2.1.3 ცხვარი და თხა;
- 01.1.2.1.4 ფრინველი (ქათამი, იხვი, ბატი, ინდაური, ციცარი და სხვ.);
- 01.1.2.1.5 ცხენი, ვირი და ცხენისებრთა სხვა წარმომადგენლები;
- 01.1.2.1.9 ხმელეთის სხვა ცხოველები და ფრინველები, ცოცხალი (ზოცვერი; აქლემი; სირაქლემა, ფარშევანგი, როჭო, მტრედი, მწყერი და სხვა ფრინველი; გველი და სხვა რეპტილიები; ობობა, მორიელი და სხვა მწერები და ჭიები; ლოკოკინები; ბაყაყები).

*არ მოიცავს:*

- ცოცხალი თევზი (01.1.3.1);
- სხვა ცოცხალი ზღვის პროდუქტები (01.1.3.4);
- ცოცხალი ცხოველები ტრანსპორტისთვის (07.1.4.0);
- ცოცხალი ცხოველები რეკრეაციული მიზნით (09.1.2.4).

**01.1.2.2 ახალი, შეყინული და გაყინული ხორცი (ND)**

ყველანაირი ცხოველის ახალი, შეყინული და გაყინული ხორცი, როგორც შინაური, ისე გარეულის.

მოიცავს:

- 01.1.2.2.1 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი (ძროხა, ხარი, ხბო, კამეჩი, ბიზონი და სხვ.);
- 01.1.2.2.2 01.1.2.2.1-ში შემავალი ცხოველების ხორცის ფარში;
- 01.1.2.2.3 ღორის ხორცი;
- 01.1.2.2.4 ღორის ხორცის ფარში;
- 01.1.2.2.5 ფრინველის ხორცი (ქათამი, იხვი, ბატი, ინდაური ციცარი და სხვ.);
- 01.1.2.2.6 01.1.2.2.5-ში ჩამოთვლილი ფრინველის ხორცის ფარში;
- 01.1.2.2.7 ცხვრის და თხის ხორცი და ფარში;
- 01.1.2.2.8 ცხენის, ვირის და ცხენისებრთა სხვა წარმომადგენლების ხორცი და

ფარში;

- 01.1.2.2.9 სხვა ხორცი, ახალი, შეყინული ან გაყინული (ბოცვერის, აქლემის, სელაპის, ლომვეშაპის, ვეშაპის და ზღვის სხვა ძუძუმწოვართა ხორცი; ანტილოპის, ირმის, ტახის, კენგურუს ხორცი; სირაქლემას, ფარშევანგის, როჭოს, მტრედის, მწყერის და სხვა ფრინველის ხორცი; გველების, ალიგატორების და სხვა რეპტილიების ხორცი; ობობა, მორიელი და სხვა მწერები და ჭიები; ლოკოკინები; ბაყაყები), ასევე ფარში აღნიშნული ცხოველების ხორცისგან.

### **01.1.2.3 გამომშრალი, დამარილებული ან შებოლილი ხორცი (ND)**

ყველანაირი ცხოველის გამომშრალი, დამარილებული ან შებოლილი ხორცი.

მოიცავს:

- 01.1.2.3.1 ბეკონი;  
01.1.2.3.2 შაშხი;  
01.1.2.3.9 სხვა გამომშრალი, დამარილებული ან შებოლილი ხორცი.

*არ მოიცავს:*

— *პაშტეტი (01.1.2.5).*

### **01.1.2.4 დაკლული ცხოველების სუბპროდუქტები, სისხლი და სხვა ნაწილები, ახალი, შეყინული ან გაყინული, გამომშრალი, დამარილებული, მარილწყალში ან შებოლილი (ND)**

დაკლული ცხოველების სუბპროდუქტები, სისხლი და სხვა ნაწილები, ახალი, შეყინული ან გაყინული, გამომშრალი, დამარილებული, მარილწყალში ან შებოლილი.

მოიცავს:

- 01.1.2.4.1 გულ-ღვიძლი და შიგნეულობა (ფრინველის გარდა);  
01.1.2.4.2 ფრინველის გულ-ღვიძლი და შიგნეულობა;  
01.1.2.4.3 ხაშის მასალა, თავ-ფეხი, კუდები და ყურები;  
01.1.2.4.4 ფრინველის ფეხები;  
01.1.2.4.5 ძვლები.

*არ მოიცავს:*

— *დაკლული ცხოველების გადამუშავებული სუბპროდუქტები, სისხლი და სხვა ნაწილები (01.1.2.5).*

#### 01.1.2.5 დაკლული ცხოველების გადამუშავებული ხორცი, სუბპროდუქტები, სისხლი და სხვა ნაწილები (ND)

გადამუშავებული ხორცი, სუბპროდუქტები ან სისხლი, გაყინული ან გაუყინავი.

მოიცავს:

- 01.1.2.5.1 მოხარშული ძეხვი;
- 01.1.2.5.2 შებოლილი ძეხვი;
- 01.1.2.5.3 სუჯუკი, ბასტურმა და სხვა მსგავსი პროდუქტები;
- 01.1.2.5.4 სოსისი, სარდელი და მსგავსი პროდუქტები ხორცის, სუბპროდუქტების ან სისხლისგან;
- 01.1.2.5.5 კუპატი და სხვა მსგავსი პროდუქტები;
- 01.1.2.5.6 დაკონსერვებული ხორცი, ხორცის ექსტრაქტები, ხორცის წვენები;
- 01.1.2.5.7 ყველა სახის პაშტეტი, ღვიძლის პაშტეტის ჩათვლით;
- 01.1.2.5.8 შერეული ფარში, სხვადასხვა ტიპის ხორცისგან;
- 01.1.2.5.9 სხვა გადამუშავებული ხორცი, სუბპროდუქტები ან სისხლი.

#### 01.1.3 თევზი და ზღვის სხვა პროდუქტები (ND)

თევზი და ზღვის სხვა პროდუქტები, მტკნარ და ზღვის წყალში დაჭერილი ან მოყვანილი, როგორცაა კიბოსებრები, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები, მთლიანი ან ნაწილებად (მაგალითად, დაჭრილი, ფილე, ხორცი, ფარში), ღვიძლის, ფარფლების, ფქვილის და სხვა სუბპროდუქტების ჩათვლით.

მოიცავს:

- წყლის კუ;
- საკვებად გამოსადეგი წყლის სხვა უხერხემლოები და ცხოველები, როგორცაა ზღვის კიტრი, ზღვის ზღარბი და მედუზები.

არ მოიცავს:

- წყლის ძუძუმწოვრები, ბაყაყები და ლოკოკინები (01.1.2.1, 01.1.2.2, 01.1.2.3);
- წყალმცენარეები და წყლის სხვა მცენარეები (01.1.7.4).

#### 01.1.3.1 თევზი, ცოცხალი, ახალი, შეყინული ან გაყინული (ND)

თევზი ცოცხალი, ახალი, შეყინული ან გაყინული.

მოიცავს:

- 01.1.3.1.1 სასაქონლე თევზი (ცოცხალი), საკვებად გამოსაყენებლად;
- 01.1.3.1.2 ნედლი თევზი, ახალი;
- 01.1.3.1.3 თევზი, შეყინული ან გაყინული;
- 01.1.3.1.4 თევზის ფილე და ხორცი, ფარში, შეყინული ან გაყინული.

*არ მოიცავს:*

- ღვიძლი, ფარფლები და სხვა სუბპროდუქტები (01.1.3.7).

### **01.1.3.2 თევზი, გამომშრალი, დამარილებული, მარილწყალში ან შებოლილი (ND)**

თევზი, გამომშრალი, დამარილებული, მარილწყალში ან შებოლილი.

მოიცავს:

- 01.1.3.2.1 თევზის ფილე და ხორცი, გამომშრალი;
- 01.1.3.2.2 თევზის ფილე და ხორცი, დამარილებული ან მარილწყალში;
- 01.1.3.2.3 თევზის ფილე და ხორცი, შებოლილი.

*არ მოიცავს:*

- ღვიძლი, ფარფლები და სხვა სუბპროდუქტები (01.1.3.7).

### **01.1.3.3 გადამუშავებული თევზი (ND)**

თევზის გადამუშავებით მიღებული საკვები პროდუქტები, გაყინული ან გაუყინავი.

მოიცავს:

- 01.1.3.3.1 ცომით ან საფანელით დაფარული ფილე, გაყინული ან გაუყინავი;
- 01.1.3.3.2 თევზის ხორცის კონსერვი;
- 01.1.3.3.3 კიბორჩხალას ხორცი და სურიმი.

*არ მოიცავს:*

- ხიზილალა და მისი შემცვლელეები, ზვიგენის მომზადებული და დაკონსერვებული ფარფლები; ღვიძლი, ფარფლები და სხვა სუბპროდუქტები (01.1.3.7).

#### 01.1.3.4 ზღვის სხვა პროდუქტები, ცოცხალი, ახალი, შეყინული ან გაყინული (ND)

მოიცავს:

- 01.1.3.4.1 კიბორჩხალები, ლობსტერები, კიბოები, კრილი, ზღვის ობობები, კრევეტები და სხვა კიბოსნაირები, ცოცხალი, ახალი, შეყინული ან გაყინული;
- 01.1.3.4.2 რვაფეხები, ზღვის ლოკოკინები და მოლუსკები, როგორცაა ხამანწკები, ბიბილოები და სხვა, ცოცხალი, ახალი, შეყინული ან გაყინული;
- 01.1.3.4.3 ზღვის ზღარბები, ზღვის კიტრები (bêches de mer) და მედუზები და წყლის სხვა უხერხემლოები, ცოცხალი, ახალი, შეყინული ან გაყინული.

არ მოიცავს:

- ხმელეთის მოლუსკები, ხმელეთის ლოკოკინების ჩათვლით, ცოცხალი, ახალი, შეყინული ან გაყინული (01.1.2.1, 01.1.2.2, 01.1.2.3);
- წყალმცენარეები და წყლის სხვა მცენარეები (01.1.7.4).

#### 01.1.3.5 ზღვის სხვა პროდუქტები, გამომშრალი, დამარილებული, მარილწყალში ან შებოლილი (ND)

მოიცავს:

- 01.1.3.5.1 ზღვის სხვა პროდუქტები, 01.1.3.4-ში განსაზღვრული, გამომშრალი, დამარილებული, მარილწყალში ან შებოლილი.

#### 01.1.3.6 ზღვის სხვა პროდუქტები, დამუშავებული (ND)

მოიცავს:

- 01.1.3.6.1 01.1.3.4-ში განსაზღვრული ზღვის სხვა პროდუქტებისგან გადამუშავებით მიღებული საკვები, გაყინული ან გაუყინავი.

**01.1.3.7 ღვიძლი, ფარფლები და თევზისა და ზღვის სხვა პროდუქტების სუბპროდუქტები, ყველანაირი ფორმით (ND)**

მოიცავს:

- 01.1.3.7.1 თევზის ღვიძლი;
- 01.1.3.7.2 ხიზილალა და მისი შემცველები;
- 01.1.3.7.3 თევზის ფარფლები და სხვა სუბპროდუქტები, ახალი, შეყინული ან გაყინული;
- 01.1.3.7.4 თევზის ფარფლები და სხვა სუბპროდუქტები, მომზადებული ან დაკონსერვებული.

არ მოიცავს:

- წყალმცენარეები და წყლის სხვა მცენარეები (01.1.7.4).

**01.1.4 რძე, რძის სხვა პროდუქტები და კვერცხი (ND)**

**01.1.4.1 ნედლი და მოუხდელი რძე (ND)**

ნედლი და მოუხდელი რძე საქონლის და კამეჩის, ცხვრის და თხის, აქლემის და სხვა ცხოველების, ახალი, პასტერიზებული, სტერილიზებული (UHT) და ალდგენილი.

მოიცავს:

- 01.1.4.1.1 ძროხის და კამეჩის რძე, ნედლი (ახალი);
- 01.1.4.1.2 ძროხის და კამეჩის რძე, პასტერიზებული ან სტერილიზებული (UHT);
- 01.1.4.1.3 ცხვრის და თხის რძე, ნედლი (ახალი);
- 01.1.4.1.4 ცხვრის და თხის რძე, პასტერიზებული ან სტერილიზებული (UHT);
- 01.1.4.1.5 სხვა ცხოველების რძე, ნედლი (ახალი);
- 01.1.4.1.6 სხვა ცხოველების რძე, პასტერიზებული ან სტერილიზებული (UHT).

არ მოიცავს:

- დამჟავებული და ფერმენტირებული რძე და ნაღები (01.1.4.6).

**01.1.4.2 მოხდილი რძე (ND)**

მოხდილი და ნახევრად მოხდილი რძე, საქონლის და კამეჩის, ცხვრის და თხის,



აქლემის და სხვა ცხოველების, პასტერიზებული ან სტერილიზებული (UHT).

მოიცავს:

- 01.1.4.2.1 ძროხის და კამეჩის რძე;
- 01.1.4.2.2 ცხვრის და თხის რძე;
- 01.1.4.2.9 სხვა ცხოველების რძე.

#### 01.1.4.3 სხვა რძე და ნაღები (ND)

სხვა რძე და ნაღები, ყველა ცხოველისგან.

მოიცავს:

- 01.1.4.3.1 რძის ფხვნილი (მოხდილი ან მოუხდელი რძისგან);
- 01.1.4.3.2 შესქელებული რძე;
- 01.1.4.3.3 ნაღები, ახალი, შედედებული, შესქელებული ან ათქვეფილი;
- 01.1.4.3.4 ნაღები, კონცენტრირებული, შაქრის ან სხვა დამატკობლების დამატებით;
- 01.1.4.3.5 ნაღების ფხვნილი.

*არ მოიცავს:*

- სასმელები კაკაოს, ყავის ან სხვა ნივთიერებების არომატით (01.1.4.7);
- შესქელებული, აორთქლილი რძე ან რძის ფხვნილი ბავშვის საკვების სახით (01.1.9.2).

#### 01.1.4.4 არაცხოველური რძე (ND)

რძე არაცხოველური წარმოშობის, ყველანაირი ფორმით.

მოიცავს:

- 01.1.4.4.1 ნუშის რძე;
- 01.1.4.4.2 ქოქოსის რძე დასალევად;
- 01.1.4.4.3 შვრიის რძე;
- 01.1.4.4.4 ბრინჯის რძე;
- 01.1.4.4.5 სოიოს რძე;
- 01.1.4.4.9 სხვა რძე ბოსტნეულისგან და თხილეულისგან.

*არ მოიცავს:*

— ქოქოსის რძე საკვების მოსამზადებლად (01.1.9.3).

#### 01.1.4.5 ყველი (ND)

ყველა სახის ყველი (ახალი მაგარი, ნახევრად მაგარი, ცისფერი ყველი, ხაჭო) და ხაჭო, ცხოველური და არაცხოველური რძისგან.

მოიცავს:

- 01.1.4.5.1 იმერული ყველი;
- 01.1.4.5.2 ქარხნული ყველი;
- 01.1.4.5.3 სულგუნი;
- 01.1.4.5.4 შებოლილი ყველი;
- 01.1.4.5.5 გუდის ყველი;
- 01.1.4.5.6 მდნარი ყველი;
- 01.1.4.5.7 ხაჭო;
- 01.1.4.5.8 ნადუდი;
- 01.1.4.5.9 ყველის სხვა სახეობები.

არ მოიცავს:

— ტოფუ (01.1.7.9).

#### 01.1.4.6 იოგურტი და მსგავსი პროდუქტები (ND)

მოიცავს:

- 01.1.4.6.1 არაჟანი;
- 01.1.4.6.2 მაწონი;
- 01.1.4.6.3 იოგურტი;
- 01.1.4.6.4 აირანი
- 01.1.4.6.5 უცხიმო ნაღები და სხვა ფერმენტირებული რძის პროდუქტები;
- 01.1.4.6.6 დამჟავებული რძე და ნაღები;
- 01.1.4.6.7 კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან დამჟავებული რძე და ნაღები, კონცენტრირებული ან არა, შაქრის ან სხვა დამატკობლების დამატებით ან მათ გარეშე, არომატიზებული ან არა, ხილის, თხილეულის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე;
- 01.1.4.6.8 იოგურტი არაცხოველური რძისგან (მაგ. ქოქოსის იოგურტი, სოიოს იოგურტი).

*არ მოიცავს:*

— *გაყინული იოგურტი (01.1.8.6).*

#### **01.1.4.7 რძისგან დამზადებული დესერტები და სასმელები (ND)**

*მოიცავს:*

- 01.1.4.7.1 რძისგან დამზადებული დესერტები ცხოველური ან არაცხოველური წარმოშობის რძისგან (პანა-კოტა, კრემ-ბრულე, კრემა-კატალანა და სხვ.);
- 01.1.4.7.2 რძისგან დამზადებული სასმელები ცხოველური ან არაცხოველური წარმოშობის რძისგან, კაკაოს, ყავის ან სხვა ნივთიერებების არომატით.

*არ მოიცავს:*

— *ლიმონის კრემი და მსგავსი (01.1.8.3).*

#### **01.1.4.8 კვერცხი (ND)**

*მოიცავს:*

- 01.1.4.8.1 კვერცხი ქათმის, ახალი;
- 01.1.4.8.2 კვერცხი სხვა ფრინველის, ახალი;
- 01.1.4.8.3 კვერცხი სხვა ცხოველის, ახალი;
- 01.1.4.8.4 კვერცხი, დაკონსერვებული ან მომზადებული;
- 01.1.4.8.5 კვერცხის გულები, ახალი ან დაკონსერვებული;
- 01.1.4.8.6 კვერცხის ალბუმინი;
- 01.1.4.8.7 კვერცხის ფხვნილი.

*არ მოიცავს:*

- *თევზის ხიზილალა (01.1.3.7);*
- *ომლეტები, ბლინები და სხვა მზა კერძები დამზადებული კვერცხის საფუძველზე (01.1.9.1).*

#### **01.1.4.9 რძის სხვა ნაწარმი (ND)**

მოიცავს:

01.1.4.9.1 შრატი და კაზეინი;

01.1.4.9.2 სხვა პროდუქტები რძის შემადგენლებისგან, რძის ცილების კონცენტრატები და მათგან მიღებული პროდუქტები.

*არ მოიცავს:*

— კარაქი და რძისგან მიღებული სხვა ცხიმები და ზეთები (01.1.5.2);

— ნაყინი (01.1.8.6).

#### **01.1.5 ზეთები და ცხიმები (ND)**

##### **01.1.5.1 მცენარეული ზეთები (ND)**

მცენარეული წამოშობის ყველა ზეთი, ხილის, თხილეულის და სხვა კულტურებისგან გამოხდილი ზეთების ჩათვლით.

მოიცავს:

01.1.5.1.1 მზესუმზირის ზეთი;

01.1.5.1.2 ზეითუნის ზეთი;

01.1.5.1.3 სიმინდის ზეთი;

01.1.5.1.4 პალმის ზეთი;

01.1.5.1.9 მცენარეული წარმოშობის სხვა ზეთები (სოიოს თესლის ზეთი, მიწის თხილის ზეთი, რაფსის და მდოგვის ზეთი, ზამბის ზეთი, ქოქოსის ზეთი, ავოკადოს ზეთი, ზეთი ბრინჯის ქატოსგან).

##### **01.1.5.2 კარაქი და რძისგან მიღებული სხვა ცხიმები და ზეთები (ND)**

მოიცავს:

01.1.5.2.1 კარაქი;

01.1.5.2.2 სპრედი;

01.1.5.2.3 ერბო.

### 01.1.5.3 მარგარინი და მსგავსი პროდუქტები (ND)

მოიცავს:

- 01.1.5.3.1 მარგარინი;
- 01.1.5.3.2 დიეტური მარგარინი;
- 01.1.5.3.3 სხვა მცენარეული ცხიმები.

არ მოიცავს:

- მიწის თხილის კარაქი (01.1.8.4).

### 01.1.5.9 სხვა ცხოველური ზეთები და ცხიმები (ND)

მოიცავს:

- 01.1.5.9.1 ღორის ქონი, ასევე ფოთლების და სხვა საკმაზების დამატებით;
- 01.1.5.9.2 საქონლის, კამეჩის, ცხვრის და თხის ქონი;
- 01.1.5.9.3 ფრინველის ქონი;
- 01.1.5.9.4 თევზის ქონი;
- 01.1.5.9.9 სხვა ცხოველური ცხიმები.

არ მოიცავს:

- ვირთევზას და პალტუსის ღვიძლის ზეთი (06.1.1.1).

### 01.1.6 ხილი და თხილეული (ND)

#### 01.1.6.1 ფინიკი, ლეღვი და ტროპიკული ხილი, ახალი (ND)

მოიცავს:

- 01.1.6.1.1 ფინიკი;
- 01.1.6.1.2 ლეღვი;
- 01.1.6.1.3 ავოკადო;
- 01.1.6.1.4 ბანანი;
- 01.1.6.1.5 ხურმა, კარალიოკი;
- 01.1.6.1.6 ფეიხოა;
- 01.1.6.1.7 ანანასი;
- 01.1.6.1.8 ქოქოსი;

01.1.6.1.9 სხვა ტროპიკული და სუბტროპიკული ხილი, ახალი.

*არ მოიცავს:*

— *პლანტაინი და მოსამზადებელი ბანანი (01.1.7.5).*

#### **01.1.6.2 ციტრუსები, ახალი (ND)**

*მოიცავს:*

01.1.6.2.1 ფორთოხალი;

01.1.6.2.2 პომელო და გრეიფრუტი;

01.1.6.2.3 ლიმონი და ლაიმი;

01.1.6.2.4 მანდარინი, კლემენტინი და ტანჯერინი;

01.1.6.2.9 სხვა ციტრუსოვანი ხილი, ახალი.

#### **01.1.6.3 კურკოვანი და თესლოვანი ხილი, ახალი (ND)**

*მოიცავს:*

01.1.6.3.1 ვაშლი;

01.1.6.3.2 მსხალი;

01.1.6.3.3 კომში;

01.1.6.3.4 გარგარი და ჭერამი;

01.1.6.3.5 ბალი და ალუბალი;

01.1.6.3.6 ატამი და ნექტარინი (ვაშლატამა);

01.1.6.3.7 ქლიავი;

01.1.6.3.8 ტყემალი და ალუჩა;

01.1.6.3.9 სხვა კურკოვანი და თესლოვანი ხილი, ახალი.

#### **01.1.6.4 კენკრა, ახალი (ND)**

*მოიცავს:*

01.1.6.4.1 მოცხარი;

01.1.6.4.2 ჟოლო;

- 01.1.6.4.3 მაყვალი;
- 01.1.6.4.4 თუთა;
- 01.1.6.4.5 მარწყვი;
- 01.1.6.4.6 მოცვი;
- 01.1.6.4.7 კინკრიჭა;
- 01.1.6.4.9 სხვა კენკრა, ახალი.

#### **01.1.6.5 სხვა ხილი, ახალი (ND)**

მოიცავს:

- 01.1.6.5.1 ყურძენი სუფრის;
- 01.1.6.5.2 ყურძენი თეთრი, საღვინე;
- 01.1.6.5.3 ყურძენი შავი, საღვინე;
- 01.1.6.5.4 კივი;
- 01.1.6.5.5 ნესვი;
- 01.1.6.5.6 საზამთრო;
- 01.1.6.5.7 ბროწეული;
- 01.1.6.5.9 სხვა ხილი, ახალი, სხვა დაჯგუფებაში ჩაურთველი.

#### **01.1.6.6 ხილი, გაყინული (ND)**

მოიცავს:

- 01.1.6.6.1 ხილი, მომზადებული ან მოუმზადებელი, გაყინული, შაქრის ან სხვა დამატკბობლების დამატებით ან მათ გარეშე.

#### **01.1.6.7 ხილის ჩირი, გაუწყლოებული ხილი (ND)**

მოიცავს:

- 01.1.6.7.1 ქიშმიში;
- 01.1.6.7.2 ქლიავის ჩირი;
- 01.1.6.7.3 ჭერმის და გარგრის ჩირი;
- 01.1.6.7.4 ქოქოსის ჩირი;
- 01.1.6.7.9 სხვა ხილის ჩირი.

არ მოიცავს:

— ხილის ფევილი (01.1.6.9).

#### 01.1.6.8 თხილეული, ნაჭუჭში ან მის გარეშე (ND)

მოიცავს:

- 01.1.6.8.1 ნუში;
- 01.1.6.8.2 წაბლი;
- 01.1.6.8.3 თხილი;
- 01.1.6.8.4 ფისტაჩი;
- 01.1.6.8.5 კაკალი;
- 01.1.6.8.6 ნიგოზი;
- 01.1.6.8.7 მიწისთხილი;
- 01.1.6.8.8 მზესუმზირა;
- 01.1.6.8.9 სხვა კაკლოვანი ხილი, ნაჭუჭით ან მის გარეშე.

#### 01.1.6.9 დაფქული ხილი, თხილეული და მათი გადამუშავებით მიღებული სხვა პროდუქტები (ND)

ხილი, თხილეული და მათი გადამუშავებით მიღებული სხვა პროდუქტები, გაყინული ან გაუყინავი.

მოიცავს:

- 01.1.6.9.1 ხილის და თხილეულის ფევილი;
- 01.1.6.9.2 თხილი, კაკალი, მიწისთხილი და სხვა, მოხალული, მარილიანი ან სხვა გზით დამუშავებული;
- 01.1.6.9.3 ჩურჩხელა;
- 01.1.6.9.4 ტყლაპი;
- 01.1.6.9.9 ხილის გადამუშავებით მიღებული სხვა პროდუქტები.

არ მოიცავს:

- ჯემები, მურაბები, ხილის ჟელეები, მარმელადი, პიურეები და პასტები (01.1.8.3);
- თხილეულის პიურე, თხილეულის კარაქი და პასტები (01.1.8.4);
- ჰომოგენიზებული პროდუქტები ბავშვის საკვების სახით (01.1.9.2).



**01.1.7 ბოსტნეული, ბოლქვოვნები, პლანტაინები, მოსამზადებელი ბანანი და პარკოსნები (ND)**

**01.1.7.1 ფოთლოვანი ან ღეროვანი ბოსტნეული, ახალი ან შეყინული (ND)**

მოიცავს:

- 01.1.7.1.1 სატაცური;
- 01.1.7.1.2 კომბოსტო;
- 01.1.7.1.3 ყვავილოვანი კომბოსტო და ბროკოლი;
- 01.1.7.1.4 სალათის ფოთოლი;
- 01.1.7.1.5 ვარდკაჭაჭა;
- 01.1.7.1.6 ისპანახი;
- 01.1.7.1.7 არტიშოკი;
- 01.1.7.1.9 სხვა ფოთლოვანი ან ღეროვანი ბოსტნეული, ახალი ან შეყინული.

**01.1.7.2 ნაყოფიანი ბოსტნეული, ახალი ან შეყინული (ND)**

მოიცავს:

- 01.1.7.2.1 წიწაკა და ჩილი;
- 01.1.7.2.2 კიტრი;
- 01.1.7.2.3 პომიდორი;
- 01.1.7.2.4 ბადრიჯანი;
- 01.1.7.2.5 გოგრა;
- 01.1.7.2.6 ყაბაყი;
- 01.1.7.2.9 სხვა ნაყოფიანი ბოსტნეული, ახალი ან შეყინული.

**01.1.7.3 მწვანე პარკოსანი ბოსტნეული, ახალი ან შეყინული (ND)**

მოიცავს:

- 01.1.7.3.1 მწვანე ლობიო;
- 01.1.7.3.2 მწვანე ბარდა;
- 01.1.7.3.3 სოიო;
- 01.1.7.3.4 ცერცვი;
- 01.1.7.3.9 სხვა მწვანე პარკოსანი ბოსტნეული, ახალი ან შეყინული.

#### 01.1.7.4 სხვა ბოსტნეული, ახალი ან შეყინული (ND)

მოიცავს:

- 01.1.7.4.1 სტაფილო;
- 01.1.7.4.2 ნიორი;
- 01.1.7.4.3 ხახვი;
- 01.1.7.4.4 პრასი და სხვა ხახვისნაირი ბოსტნეული;
- 01.1.7.4.5 ჭარხალი;
- 01.1.7.4.6 ბოლოკი;
- 01.1.7.4.7 სოკოები;
- 01.1.7.4.8 ზეთისხილი;
- 01.1.7.4.9 სხვა ბოსტნეული, ახალი ან შეყინული, სხვა დაჯგუფებაში ჩაურთველი; ბოსტნეულის ნარევები.

#### 01.1.7.5 ბოლქვები, პლანტაინები და მოსამზადებელი ბანანი (ND)

მოიცავს:

- 01.1.7.5.1 კარტოფილი;
- 01.1.7.5.2 ბატატი;
- 01.1.7.5.3 მიწავაშლა;
- 01.1.7.5.4 პლანტაინი და მოსამზადებელი ბანანი;
- 01.1.7.5.9 სხვა ბოლქვები (მანიოკა და იუკა; ტარო; იაუტია (მალანგა), ახალი კოკოამი, ოკუმო, ტანია; არორუტი, ლოტუსის ფესვი, სალეპი, ტაკა).

*არ მოიცავს:*

— სადესერტე ბანანები (01.1.6.1).

#### 01.1.7.6 პარკოსნები (ND)

გამომშრალი პარკოსნები, გაფცქვნილი ან გაუფცქვნილი, დამსხვრეული ან მთელი, მაგრამ შემდგომი დამუშავების გარეშე.

მოიცავს:

- 01.1.7.6.1 ლობიო;
- 01.1.7.6.2 სოიო;
- 01.1.7.6.3 ოსპი;
- 01.1.7.6.4 ბარდა;

- 01.1.7.6.5 ცერცვი;
- 01.1.7.6.6 ნუტი;
- 01.1.7.6.9 სხვა პარკოსნები და პარკოსნების ნარევეები (მტრედის (გუნგა) ბარდა; ბამბარას ლობიო და სხვა).

**01.1.7.7 სხვა ბოსტნეული, ბოლქვოვნები, პლანტაინები და მოსამზადებელი ბანანი, ჩირის სახით და გაუწყლოებული (ND)**

ბოსტნეული, პარკოსნების გარდა, ბოლქვოვნები, პლანტაინები და მოსამზადებელი ბანანი, გამშრალი და გაუწყლოებული.

მოიცავს:

- 01.1.7.7.1 სოიოს ჩირი;
- 01.1.7.7.2 კარტოფილის ჩირი;
- 01.1.7.7.3 გაუწყლოებული ნიორი და ხახვი;
- 01.1.7.7.4 გამხმარი წიწაკა;
- 01.1.7.7.5 პლანტაინის და მოსამზადებელი ბანანის ჩირი;
- 01.1.7.7.9 სხვა ბოსტნეული და ბოლქვოვნები, ჩირის სახით და გაუწყლოებული.

არ მოიცავს:

- ბოსტნეულის ფქვილი (01.1.7.9).

**01.1.7.8 ბოსტნეული, ბოლქვოვნები, პლანტაინები და მოსამზადებელი ბანანი, გაყინული (ND)**

მოიცავს:

- 01.1.7.8.1 01.1.7.1 - 01.1.7.4-ში შემავალი ბოსტნეული, გაყინული;
- 01.1.7.8.2 გაყინული ბოლქვოვნები;
- 01.1.7.8.3 გაყინული პლანტაინი და მოსამზადებელი ბანანი.

არ მოიცავს:

- გადამუშავების გზით მიღებულ გაყინულ პროდუქტებს, როგორცაა კარტოფილის ჩხირები, გაყინული (01.1.7.9).

**01.1.7.9 ბოსტნეული, ბოლქვოვნები, პლანტაინები, მოსამზადებელი ბანანი და პარკოსნები, დაფქული ან სხვა სახით დამუშავებული (ND)**

დამუშავებული ბოსტნეული, ბოლქვოვნები, პლანტაინები, მოსამზადებელი ბანანი და პარკოსნები, გაყინული ან გაუყინავი.

მოიცავს:

- 01.1.7.9.1 ფქვილი ბოსტნეულის, პარკოსნების, ბოლქვების, პლანტაინის და მოსამზადებელი ბანანის;
- 01.1.7.9.2 დაკონსერვებული ბოსტნეული;
- 01.1.7.9.3 დაკონსერვებული ზეთისხილი, ბოსტნეულის ფანტელები, ბოსტნეულის პიურე, ბოსტნეულის ჩიპსი;
- 01.1.7.9.4 კარტოფილის ჩიფსი;
- 01.1.7.9.5 კარტოფილის ჩხირები, გაყინული;
- 01.1.7.9.6 ბოსტნეულის კონცენტრატები;
- 01.1.7.9.7 ბოსტნეულის მწნილები;
- 01.1.7.9.8 სოიოს ხორცი და ბურგერები, ვეგეტარიანული ბურგერები, ტემპე და ხორცის სხვა შემცველები, დამზადებული ბოსტნეულისა და თხილეულისგან;
- 01.1.7.9.9 სხვა დამუშავებული ბოსტნეული, ბოლქვოვნები და პარკოსნები, გაყინული ან გაუყინავი.

არ მოიცავს:

- სეიტანი და მარცლვეულისგან დამზადებული ხორცის სხვა შემცველები (01.1.1.9);
- მზა საკვები ბოსტნეულისგან, გაყინული ან გაუყინავი, სხვა ინგრედიენტების ჩათვლით, როგორცაა ყველი ან ხორცი/თევზი; მზა წვნიანები (01.1.9.1);
- გადამუშავების გზით მიღებული ჰომოგენიზებული პროდუქტები, ბავშვის საკვების სახით (01.1.9.2);
- მწვანე მწიფე და საკმაზები კულინარიისთვის (01.1.9.4);
- ბულიონები ბოსტნეულის შემცველობით (01.1.9.9);
- ბოსტნეულის წვენები (01.2.1.0).

**01.1.8 შაქარი, ტკბილეული და დესერტები (ND)**

**01.1.8.1 ლერწმის და ჭარხლის შაქარი (ND)**

მოიცავს:

- 01.1.8.1.1 შაქარი, ლერწმის და ჭარხლის, ნედლი ან რაფინირებული, ფხვნილის

სახით,

01.1.8.1.2 შაქარი, ლერწმის და ჭარხლის, ნედლი ან რაფინირებული, კრისტალიზებული ან ნატეხების სახით.

#### 01.1.8.2 სხვა შაქარი და შაქრის შემცველები (ND)

მოიცავს:

- 01.1.8.2.1 სხვა შაქარი, ლერწმის და ჭარხლის შაქრის გარდა (მაგ. ქოქოსის შაქარი);
- 01.1.8.2.2 სტევია;
- 01.1.8.2.3 გლუკოზა და გლუკოზის სიროფი; ფრუქტოზა და ფრუქტოზის სიროფი;
- 01.1.8.2.4 ლაქტოზა და ლაქტოზის სიროფი;
- 01.1.8.2.5 ხელოვნური თაფლი, საქარინი და სხვა ხელოვნური დამატკობლები;
- 01.1.8.2.6 ლერწმის და ჭარხლის შაქარი, რაფინირებული, მყარ ფორმაში, არომატის ან ფერის დამატებით;
- 01.1.8.2.7 ნეკერჩხლის შაქარი და სიროფი; კარამელი; მოლასესი;
- 01.1.8.2.9 შაქარი და შაქრის სიროფები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

#### 01.1.8.3 ჯემები, მურაბები, ხილის ჟელეები, მარმელადი, პიურები და პასტები, თაფლი (ND)

მოიცავს:

- 01.1.8.3.1 ნატურალური თაფლი;
- 01.1.8.3.2 ჯემები, მურაბები;
- 01.1.8.3.3 მარმელადი, ჟელეები;
- 01.1.8.3.4 კომპოტები;
- 01.1.8.3.5 ხილის პიურები და პასტები;
- 01.1.8.3.6 ლიმონის კრემი და სხვა სახის ხილის კრემი.

#### 01.1.8.4 თხილეულის პიურე, თხილეულის კარაქი და პასტები (ND)

მოიცავს:

- 01.1.8.4.1 მიწის თხილის კარაქი;
- 01.1.8.4.2 თხილეულის სხვა კარაქი, როგორცაა: ნუშის კარაქი, ქეშიუს კარაქი,

მაკადამიას კარაქი, პეკანის კარაქი, ფისტას კარაქი და კაკლის კარაქი.

#### 01.1.8.5 შოკოლადი, კაკაო და კაკაოსგან დამზადებული საკვები პროდუქტები (ND)

მოიცავს:

- 01.1.8.5.1 კაკაო (კაკაოს მარცვლების ჩათვლით), კაკაოს ფხვნილი ყველანაირი დანიშნულების;
- 01.1.8.5.2 შოკოლადი, თეთრი შოკოლადის ჩათვლით;
- 01.1.8.5.3 შოკოლადისა და კაკაოსგან დამზადებული საკვები პროდუქტები, კაკაოსგან დამზადებული დესერტები;
- 01.1.8.5.4 შოკოლადისა და კაკაოსგან დამზადებული კრემები ან სპრედები;
- 01.1.8.5.5 შოკოლადით დაფარული ზეფირი და ჟელე, თუ პროდუქტი ძირითადად შოკოლადისგან შედგება.

არ მოიცავს:

- კაკაოსა და შოკოლადისგან დამზადებული სასმელები (01.2.4.0).

#### 01.1.8.6 ყინული, ნაყინი და სორბეტი (ND)

მოიცავს:

- 01.1.8.6.1 ნაყინი;
- 01.1.8.6.2 ტოფუს ნაყინი;
- 01.1.8.6.3 ხილის ყინული;
- 01.1.8.6.4 გაყინული იოგურტი;
- 01.1.8.6.5 ყინულის კუბურები სასმელებისთვის;
- 01.1.8.6.6 სორბეტი.

არ მოიცავს:

- ყინული გასაგრილებლად (04.5.5.0).

#### 01.1.8.9 სხვა ტკბილეული და დესერტები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი (ND)

მოიცავს:

- 01.1.8.9.1 სადექი რეზინი;
- 01.1.8.9.2 კანფეტი, პასტილა;

- 01.1.8.9.3 დესერტები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი;
- 01.1.8.9.4 ჰალვა;
- 01.1.8.9.5 ბოსტნეული, ხილი, თხილეული, ხილის კანი და მცენარის სხვა ნაწილები, შაქრის დამატებით დაკონსერვებული;
- 01.1.8.9.9 სხვა ტკბილეული.

*არ მოიცავს:*

— *ტკბილეული დამზადებული კაკოსა და შოკოლადისგან (01.1.8.5).*

## **01.1.9 მზა საკვები და სხვა საკვები პროდუქტები (ND)**

### **01.1.9.1 მზა საკვები (ND)**

მზა საკვები და კერძები, რომლებიც ვარგისია საკვებად პირდაპირ, ან გაცხელების შემდეგ, მაგრამ არ საჭიროებს მომზადებას. ისინი შეიცავს შერეულ ინგრედიენტებს და შეიძლება იყოს ახალი, გაყინული ან გაუწყლოებული/ხსნადი. შეიძლება შეიცავდეს სოუსებს და საკმაზებს, განსაკუთრებით როდესაც საკვები ახალია; შესაძლოა ცალკე იყოს შეფუთული. ზოგჯერ კომპლექტში მოჰყვება ერთჯერადი ჩანგლები, დანები, კოვზები ან ჩხირები.

*მოიცავს:*

- 01.1.9.1.1 მზა პელმენი, ხინკალი, რავიოლი, ატრია და მსგავსი;
- 01.1.9.1.2 მზა კერძები ხორცის, ხორცის შემცველების და/ან თევზისგან;
- 01.1.9.1.3 ხაჭაპური, პიცა;
- 01.1.9.1.4 შერეული სალათები და სხვა მზა კერძები ბოსტნეულის, პარკოსნებისა და კარტოფილისგან, ასევე სხვა ინგრედიენტების დამატებით, როგორცაა ხორცი, თევზი და ყველი;
- 01.1.9.1.5 სენდვიჩები, ხორცის ან თევზის ღვეზელები ლობიანი (გაყინული ან გაუყინავი);
- 01.1.9.1.6 ომლეტები, ბლინები და კვერცხისგან დამზადებული სხვა საკვები პროდუქტები, მთავარი კერძის სახით;
- 01.1.9.1.7 მზა წვნიანები, გაუწყლოებული და ხსნადი წვნიანების ჩათვლით;
- 01.1.9.1.8 კუსკუსის კერძები, ბოსტნეულის, და/ან ხორცის, თევზის, ყველის ან სხვა ინგრედიენტების დამატებით;
- 01.1.9.1.9 სხვა მზა საკვები და კერძები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

*არ მოიცავს:*

— *პური და პუნთუშეული, ნამცხვრები (01.1.1.3);*

- მკარონი, ატრია, კუსკუსი და მსგავსი ცომეული, უმი, ფარშირებული ან არა (01.1.1.5);
- ყველი (01.1.4.5) და იოგურტი (01.1.4.6);
- გაყინული კარტოფილის ჩიფსი (01.1.7.9);
- ნაყინი (01.1.8.6) და სხვა დესერტები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი (01.1.8.9).

### 01.1.9.2 ბავშვის საკვები (ND)

საკვები, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ბავშვებისთვის.

მოიცავს:

- 01.1.9.2.1 ე.წ. „საბავშვო ფორმულა“ (რძის ფხვნილი და შესქელებული რძე, ბავშვებისთვის);
- 01.1.9.2.2 საბავშვო ბრინჯი და ფქვილი ბავშვის საკვებისთვის;
- 01.1.9.2.3 ჰომოგენიზებული ბავშვის საკვები.

არ მოიცავს:

- მარცვლეული და ფქვილი, რომელიც არ არის განკუთვნილი მხოლოდ ბავშვებისთვის (01.1.1.1, 01.1.1.2);
- რძის ფხვნილი, რომელიც არ არის განკუთვნილი მხოლოდ ბავშვებისთვის (01.1.4.3);
- იოგურტი ბავშვებისთვის (01.1.4.6);
- ჰომოგენიზებული ხილის და ბოსტნეულის პრეპარატები, რომელიც არ არის განკუთვნილი მხოლოდ ბავშვებისთვის (01.1.6.9; 01.1.7.9).

### 01.1.9.3 მარილი, საკმაზები და სოუსები (ND)

მოიცავს:

- 01.1.9.3.1 მარილი;
- 01.1.9.3.2 მდოგვი;
- 01.1.9.3.3 მაიონეზი;
- 01.1.9.3.4 კეტჩუპი, პომიდვრის საწებელი, აჯიკა;
- 01.1.9.3.5 სოიოს სოუსი და სხვა სახის სოუსები;
- 01.1.9.3.6 ძმარი;
- 01.1.9.3.7 საჭმელი სოდა;
- 01.1.9.3.8 ტყემლის საწებელი;



01.1.9.3.9 სხვა საკმაზები.

*არ მოიცავს:*

- ქოქოსის რძე დასაღვად (01.1.4.4);
- ხილის და ბოსტნეულის მწნილები (01.1.7.9).

#### **01.1.9.4 სანელებლები, კულინარიული მწვანილეული და თესლი (ND)**

*მოიცავს:*

- 01.1.9.4.1 სანელებლები (პილპილი, წიწაკა, დარიჩინი, მიხაკი, ვანილი, ჯანჯაფილი, უცხო სუნელი, ხმელი ქინძი, ზაფრანა და სხვ.);
- 01.1.9.4.2 მწვანილეული (ობრახუმი, ქინძი, რეჰანი, მწვანე ხახვი, მწვანე ნიორი, როზმარინი, ბეჟონდარა და სხვა კულინარიული მწვანილეული);
- 01.1.9.4.3 ყაყაჩოს, სეზამის, სელის და სხვა სახის თესლი.

*არ მოიცავს:*

- მცენარეული ზეთები (01.1.5.1);
- თესლი დასათესად (09.3.1.2).

#### **01.1.9.9 სხვა საკვები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი (ND)**

*მოიცავს:*

- 01.1.9.9.1 საფუარი;
- 01.1.9.9.2 მზა ფხვნილები ცხობისთვის;
- 01.1.9.9.3 ბულიონი, ბულიონის კუბურები, წვნიანის მასალა;
- 01.1.9.9.4 საკვები დანამატები და გამდიდრებული საკვები პროდუქტები;
- 01.1.9.9.5 საკვები საღებავები, ენდრო;
- 01.1.9.9.9 სხვა საკვები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

### **01.2 უალკოჰოლო სასმელები**

შინამეურნეობების მიერ შექმნილი უალკოჰოლო სასმელები, იმის მიუხედავად თუ სად ხდება მათი მოხმარება, გარდა იმ სასმელებისა, რომელიც მიეწოდება

საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფარგლებში (განყოფილება 11).

მოიცავს:

— სასმელები ალკოჰოლის შემცველობის გარეშე.

არ მოიცავს:

- რძე (01.1.4.1, 01.1.4.2, 01.1.4.3, 01.1.4.4);
- უალკოჰოლო ღვინო (02.1.2.1);
- უალკოჰოლო ლუდი (02.1.3.0);
- უალკოჰოლო სასმელები დაუყოვნებლივ მოხმარებისთვის, რომელიც მიეწოდება სასმელების მიწოდებით მომსახურების ფარგლებში (11.1.1).

## 01.2.1 ხილის და ბოსტნეულის წვენები (ND)

### 01.2.1.0 ხილის და ბოსტნეულის წვენები (ND)

მოიცავს:

- 01.2.1.0.1 ხილის წვენები, არაფერმენტირებული, ალკოჰოლის დამატების გარეშე, შაქრის ან სხვა დამატკობლის დამატებით ან მათ გარეშე;
- 01.2.1.0.2 ბოსტნეულის წვენები, არაფერმენტირებული, ალკოჰოლის დამატების გარეშე, შაქრის ან სხვა დამატკობლის დამატებით ან მათ გარეშე;
- 01.2.1.0.3 კონცენტრირებული და გაყინული წვენები;
- 01.2.1.0.4 წვენის ფხვნილები.

არ მოიცავს:

— გაზირებული წვენები (01.2.6.0).

## 01.2.2 ყავა და ყავის შემცველები (ND)

### 01.2.2.0 ყავა და ყავის შემცველები (ND)

მოიცავს:

- 01.2.2.0.1 დაფქული ყავა, კოფეინით ან მის გარეშე;

- 01.2.2.0.2 ხსნადი ყავა, კოფეინით ან მის გარეშე;
- 01.2.2.0.3 ყავის მარცვლები, მოხალული ან მოუხალავი;
- 01.2.2.0.4 ყავის შემცვლელები (მოხალული ვარდკაჭაჭა და ყავის სხვა შემცვლელები);
- 01.2.2.0.5 ყავის ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები;
- 01.2.2.0.6 ყავისგან დამზადებული სასმელები.

*არ მოიცავს:*

- *რძე ყავის არომატით (01.1.4.7).*

### **01.2.3 ჩაი, მატე (maté) და სხვა მცენარეული პროდუქტები დასაყენებლად (ND)**

#### **01.2.3.0 ჩაი, მატე (maté) და სხვა მცენარეული პროდუქტები დასაყენებლად (ND)**

*მოიცავს:*

- 01.2.3.0.1 მწვანე ჩაი (არაფერმენტირებული);
- 01.2.3.0.2 მწვანე ჩაი პაკეტებში;
- 01.2.3.0.3 შავი ჩაი (ფერმენტირებული) და ნაწილობრივ ფერმენტირებული ჩაი;
- 01.2.3.0.4 შავი ჩაი პაკეტებში;
- 01.2.3.0.5 ხილის და ბალახების ჩაი, მატე (maté) და სხვა მცენარეული პროდუქტები დასაყენებლად;
- 01.2.3.0.6 ჩაის შემცვლელები, ექსტრაქტები და ესენციები.
- 01.2.3.0.9 ჩაის სხვა სახეობები (როიბუშის ჩაი; ხსნადი ჩაი).

### **01.2.4 კაკაოს სასმელები (ND)**

#### **01.2.4.0 კაკაოს სასმელები (ND)**

*მოიცავს:*

- 01.2.4.0.1 კაკაო და სასმელები შოკოლადისგან.

*არ მოიცავს:*

- *რძე შოკოლადის ან კაკაოს არომატით (01.1.4.7);*
- *კაკაოს ფხვნილი ნებისმიერი გამოყენებისთვის; შოკოლადი ბატონებში ან ფილებში; კაკაოსგან დამზადებული საკვები და დესერტები (01.1.8.5).*

**01.2.5 წყალი (ND)**

**01.2.5.0 წყალი (ND)**

მოიცავს:

- 01.2.5.0.1 მინერალური ან წყაროს წყალი, გაზირებული, სხვა ინგრედიენტების გარეშე;
- 01.2.5.0.2 მინერალური ან წყაროს წყალი, არაგაზირებული, სხვა ინგრედიენტების გარეშე.

*არ მოიცავს:*

- *არომატიზებული წყალი (01.2.9.0).*

**01.2.6 უალკოჰოლო სასმელები (ND)**

**01.2.6.0 უალკოჰოლო სასმელები (ND)**

მოიცავს:

- 01.2.6.0.1 არაგაზირებული წვენები (ცივი ჩაი და სხვა);
- 01.2.6.0.2 კოლა-ს ტიპის სასმელები;
- 01.2.6.0.3 გაზირებული ლიმონათი.

*არ მოიცავს:*

- *გაზირებული წყალი (01.2.5.0);*
- *არომატიზებული წყალი (01.2.9.0).*

**01.2.9 სხვა უალკოჰოლო სასმელები (ND)**

**01.2.9.0 სხვა უალკოჰოლო სასმელები (ND)**

მოიცავს:

- 01.2.9.0.1 არომატიზებული წყალი;
- 01.2.9.0.2 ენერგეტიკული სასმელები, ენერგეტიკული დანამატები და პროთეინის ფხვნილი სასმელის მოსამზადებლად;
- 01.2.9.0.3 არყის ხის წვენი, ალოე ვერას წვენი და სასმელები;

- 01.2.9.0.4 სიროფები და კონცენტრატები სასმელების მოსამზადებლად;
- 01.2.9.0.9 სხვა უალკოჰოლო სასმელები.

**01.3 საკვებისა და უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად პირველადი საქონლის დამუშავების მომსახურება**

შინამეურნეობების მიერ მიწოდებული პირველადი საქონლის გადამუშავების მიზნით შექმნილი მომსახურება, შინამეურნეობების საბოლოო მოხმარებისთვის საკვებისა და უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად.

**01.3.0 საკვებისა და უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად პირველადი საქონლის დამუშავების მომსახურება (S)**

**01.3.0.0 საკვებისა და უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად პირველადი საქონლის დამუშავების მომსახურება (S)**

მოიცავს:

- 01.3.0.0.1 მარცვლეულის დაფქვა ფქვილის წარმოებისთვის (წისქვილის და საფქვავეთა დაკავშირებული სხვა მომსახურება);
- 01.3.0.0.2 ზეთის გამოხდა;
- 01.3.0.0.3 ხილის/ბოსტნეულის დანაწევრებით და დაპრესვით მომსახურება წველების წარმოების მიზნით.

არ მოიცავს:

- ბიზნესის მიზნებისთვის საკვების დამუშავება (სცდება COICOP-ის მოცვის არეალს);
- ხილის/ბოსტნეულის დანაწევრებით და დაპრესვით მომსახურება ალკოჰოლური სასმელების წარმოების მიზნით (02.2.1.0).

## 02 ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო და ნარკოტიკები

განყოფილება 02 მოიცავს ალკოჰოლური სასმელების (02.1), თამბაქოს ნაწარმის (02.3) და ნარკოტიკების შექმნას (02.4), იმის მიუხედავად, თუ სად მოიხმარება ისინი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მიეწოდება საკვებით და სასმელებით უზრუნველყოფის მომსახურების ფარგლებში.

განყოფილება 02 ასევე მოიცავს უალკოჰოლო და ალკოჰოლის დაბალი შემცველობის ისეთ სასმელებს, რომელიც, როგორც წესი, ალკოჰოლურია, მაგალითად უალკოჰოლო ლუდი. პირადი მოხმარებისთვის ალკოჰოლის წარმოებით მომსახურება (02.2) ასევე მოცულია აღნიშნული განყოფილების მიერ.

განყოფილება 02 არ მოიცავს ალკოჰოლურ სასმელებს, რომელიც შექმნილია დაუყოვნებლივ მოხმარებისთვის სასტუმროებში, რესტორნებში, კაფეებში, ჯიხურებში, ავტომატურ აპარატებსა და სხვ. (11.1.1).

### 02.1 ალკოჰოლური სასმელები

აქ კლასიფიცირებული სასმელები მოიცავს ასევე უალკოჰოლო და ალკოჰოლის დაბალი შემცველობის მქონე სასმელებსაც, რომელიც, როგორც წესი, შეიცავს ალკოჰოლს.

#### 02.1.1 სპირტიანი სასმელები და ლიქიორები (ND)

##### 02.1.1.0 სპირტიანი სასმელები და ლიქიორები (ND)

მოიცავს:

02.1.1.0.1 ბრენდი, ლიქიორები და სხვა სახის სპირტები ალკოჰოლის მაღალი შემცველობით;

02.1.1.0.2 არაყი, ჭაჭა;

02.1.1.0.3 აპერიტივები, ღვინისგან დამზადებული აპერიტივების გარდა.

არ მოიცავს:

— ღვინისგან დამზადებული აპერიტივები (02.1.2.1, 02.1.2.2).

## 02.1.2 ღვინო (ND)

### 02.1.2.1 ყურძნის ღვინოები (ND)

მოიცავს:

- 02.1.2.1.1 ყურძნის ღვინოები;
- 02.1.2.1.2 გამაგრებული ღვინოები, როგორცაა ვერმუტი, ხერესი, პორტვინი;
- 02.1.2.1.3 ყურძნის ცქრიალა ღვინოები (შამპანური და სხვ.);
- 02.1.2.1.4 აის ვაინი;
- 02.1.2.1.5 უალკოჰოლო ან ალკოჰოლის დაბალი შემცველობის მქონე ღვინოები;
- 02.1.2.1.6 ღვინისგან დამზადებული აპერიტივები;
- 02.1.2.1.9 ყურძნის სხვა ღვინოები.

### 02.1.2.2 სხვა წარმოშობის ღვინოები (ND)

მოიცავს:

- 02.1.2.2.1 სიდრი და პერი (მსხლის სიდრი), საკე.

## 02.1.3 ლუდი (ND)

### 02.1.3.0 ლუდი (ND)

მოიცავს:

- 02.1.3.0.1 ყველა სახეობის ლუდი (ელი, ლაგერი, სტაუტი, პორტერი და სხვ.), ჩამოსასხმელი;
- 02.1.3.0.2 ყველა სახეობის ლუდი (ელი, ლაგერი, სტაუტი, პორტერი და სხვ.), ბოთლში ან ქილაში;
- 02.1.3.0.3 უალკოჰოლო და ალკოჰოლის დაბალი შემცველობის მქონე ლუდი.

## 02.1.9 სხვა ალკოჰოლური სასმელები (ND)

### 02.1.9.0 სხვა ალკოჰოლური სასმელები (ND)

მოიცავს:

- 02.1.9.0.1 შერეული ალკოჰოლური სასმელები, როგორცაა გაზირებული ან მინერალური წყლისგან დამზადებული შერეული ალკოჰოლური

სასმელები;

02.1.9.0.2 შანი, რადლერი და სხვ.

## 02.2 ალკოჰოლის წარმოების მომსახურება

### 02.2.0 ალკოჰოლის წარმოების მომსახურება (S)

#### 02.2.0.0 ალკოჰოლის წარმოების მომსახურება (S)

შინამეურნეობების მიერ მიწოდებული პირველადი საქონლის გადამუშავებით მომსახურება, რომლის მიზანია შინამეურნეობების საბოლოო მოხმარებისთვის ალკოჰოლური სასმელების დამზადება.

მოიცავს:

02.2.0.0.1 ხილის/ბოსტნეულის დანაწევრებით და დაპრესვით მომსახურება ალკოჰოლური სასმელების წარმოების მიზნით;

02.2.0.0.2 დისტილაციით და ფერმენტაციით მომსახურება;

02.2.0.0.3 ხარშვით მომსახურება;

02.2.0.0.4 დამველებით და ბოთლებში ჩამოსხმით მომსახურება.

## 02.3 თამბაქო

ეს ჯგუფი მოიცავს შინამეურნეობების მიერ თამბაქოს და თამბაქოს პროდუქტების შექმნას, რესტორნებში, კაფეებში, ბარებში და სხვა ადგილებში შექმნის ჩათვლით, თუ ამ ადგილებში არ ხდება რეალიზებულ თამბაქოს პროდუქტებზე რაიმე ღირებულების ან მოსმარების დამატება. თამბაქოს მოხმარება ჩილიმის მეშვეობით რესტორნებში, კაფეებსა და ბარებში კლასიფიცირებულია მე-11 განყოფილებაში, ვინაიდან ეს დაწესებულებები სთავაზობენ შესაბამის მომსახურებას. ელექტრონული სიგარეტი კლასიფიცირებულია ამ ჯგუფში, იმის მიუხედავად, რომ ის არ შეიცავს თამბაქოს, რადგანაც ის წარმოადგენს თამბაქოს პროდუქტების შემცველს.

### 02.3.0 თამბაქო (ND)

მოიცავს:

- სიგარეტები, სიგარეტის თამბაქო და თამბაქოს ფოთლები;
- სიგარეტის ქაღალდი და ერთჯერადი ფილტრები, რომელიც მოიხმარება



- სიგარეტთან ერთად;
- სიგარები, ჩიბუხის თამბაქო, სალეჭი თამბაქო ან ბურნუთი (საყნოსი თამბაქო);
  - ნივითიერება ელექტრონული სიგარეტის შესავსებად, ნიკოტინის შემცველობით ან მის გარეშე;
  - ჩილიმით მოხმარებული თამბაქო, თუ ის სახლში მოიხმარება;
  - თამბაქო, რომელიც შეძენილ იქნა ბარებსა და რესტორნებში, თუ დამატებითი სერვისის ღირებულება არ ექნა დამატებული.

*არ მოიცავს:*

- თამბაქო, რომელიც მოიხმარება ჩილიმის მეშვეობით რესტორნებში, კაფეებსა და ჩილიმბარებში (11.1.1);
- სხვა პროდუქტები მწვევლებისთვის; ელექტრონული სიგარეტის მოწყობილობები (13.2.9.1).

#### **02.3.0.1 სიგარეტები (ND)**

მოიცავს:

- 02.3.0.1.1 ფილტრიანი სიგარეტები;
- 02.3.0.1.2 უფილტრო სიგარეტები;
- 02.3.0.1.3 სიგარეტები, რომლებიც შეძენილ იქნა ბარებსა და რესტორნებში, იმ პირობით რომ მომსახურების ღირებულება არ ექნა დამატებული.

#### **02.3.0.2 სიგარები (ND)**

მოიცავს:

- 02.3.0.2.1 სიგარები;
- 02.3.0.2.2 სიგარები, რომლებიც შეძენილ იქნა ბარებსა და რესტორნებში, იმ პირობით რომ მომსახურების ღირებულება არ ექნა დამატებული.

#### **02.3.0.9 თამბაქოს სხვა პროდუქტები (ND)**

მოიცავს:

- 02.3.0.9.1 თუთუნი და თამბაქოს ფოთლები;
მოიცავს სამკურნალო, სტომატოლოგიურ და სარეაბილიტაციო მოვლას, რომელიც მოითხოვს ღამისთევას. სტაციონარული სამკურნალო დახმარება მოიცავს ჯანდაცვის კონტაქტებს, რომლებიც საჭიროებენ ღამისთევას, რომლის დროსაც ძირითადი მიზანია დაავადებების ან დაზიანებების სიმპტომების შემსუბუქება, დაავადებების ან დაზიანებების სიმძიმის შემცირება, დაავადების და/ან დაზიანებების გამწვავებისა და/ან გართულებისგან დაცვა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სიცოცხლეს ან ნორმალურ ფუნქციონირებას. სტაციონარული სარეაბილიტაციო მომსახურება, რომელიც მოითხოვს ღამისთევას და მიზნად ისახავს ოპტიმალური ფუნქციონირების მიღწევას და შენარჩუნებას.

მოიცავს:

- 06.3.1.0.1 ქირურგიული მომსახურება;
- 06.3.1.0.2 სამშობიარო მომსახურება;
- 06.3.1.0.3 ფსიქიატრიული სამკურნალო დაწესებულებების მომსახურება;
- 06.3.1.0.4 სხვა სახის სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურება, რომელიც მოითხოვს ღამისთევას;
- 06.3.1.0.5 მედიკამენტები და ჯანმრთელობის პროდუქტები (სამედიცინო, დამხმარე, თერაპიული), რომლებიც საჭიროა სტაციონარული მომსახურების გაწევისათვის ღამისთევისას;
- 06.3.1.0.6 დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია პაციენტისთვის "განთავსების ხარჯებთან" (მაგალითად, სამზარეულო, დასუფთავება, განთავსება) და პაციენტების ნათესავების მიღებასთან;
- 06.3.1.0.7 კოსმეტიკური პროცედურები საავადმყოფოებში (მაგალითად, კოსმეტიკური ქირურგია სხვა მიზნებისთვის, რეკონსტრუქციული ქირურგიის გარდა).

არ მოიცავს:

- დღის სტაციონარი (პოსპიტალიზაციით ან მის გარეშე, მაგრამ არა ღამისთევით) და სტაციონარული მკურნალობა სახლში (06.2);
- საავადმყოფოებში ან სამკურნალო დაწესებულებებში ღამისთევის გარეშე მიღებული მომსახურება (06.2), მათ შორის ისეთი დაწესებულებების მომსახურება, როგორცაა ქირურგია, კლინიკები და დისპანსერები, რომლებიც განკუთვნილია ექსკლუზიურად ამბულატორიულ მკურნალობისთვის (06.2);
- გადაუდებელი პაციენტების ტრანსპორტირებისა და სამაშველო მომსახურებები (06.4.2.0);
- ხანდაზმულთათვის სახლების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის დაწესებულებებისა და არასამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრების მომსახურებები, რომლებიც პირველ რიგში უზრუნველყოფენ გრძელვადიან სოციალურ მხარდაჭერას; ხანდაზმულთა სოფლები სტაციონარული მომსახურების გარეშე (13.3.0.2).

### 06.3.2 გრძელვადიანი სტაციონარული მოვლის მომსახურება (S)

#### 06.3.2.0 გრძელვადიანი სტაციონარული მოვლის მომსახურება (S)

მოიცავს გრძელვადიან მოვლის მომსახურებას, რომელიც მოითხოვს ღამისთევას.

სტაციონარული გრძელვადიანი მოვლის სერვისები მიზნად არ ისახავს დაავადების განკურნებას ან პიროვნების რეაბილიტაციას, არამედ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილებას და ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებას. ზოგიერთი სამედიცინო და საექთნო საქმიანობა, რომელიც მოითხოვს ღამისთევას, ამ სტატუსსკვოს განუყოფელი ნაწილია.

ამ ტიპის სტაციონარულ გრძელვადიან მოვლას შეიძლება საჭიროებდნენ, მაგალითად, შემდეგი კატეგორიის პირები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხანდაზმულები; შინამეურნეობების ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრები; პირები ქრონიკული დაავადებებით.

მოიცავს:

- 06.3.2.0.1 მოხუცებულთა სამკურნალო სახლების ან საავადმყოფოების მომსახურება;
- 06.3.2.0.2 ხანდაზმულთა სახლების მომსახურება საექთნო მოვლით;

- სტაციონარული ჰოსპისები;
- 06.3.2.0.3 პალიატიური მზრუნველობის დაწესებულებების მომსახურება უკურნებელი დაავადებების მქონე პაციენტებისთვის;
- 06.3.2.0.4 ფსიქიატრიული დაწესებულებების მომსახურება; ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური დაწესებულებების მომსახურება ქრონიკული პაციენტებისათვის (მაგალითად, დემენციის მქონეებისთვის);
- 06.3.2.0.5 მოხუცთა სამედიცინო სახლებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაწესებულებების მომსახურება;
- 06.3.2.0.6 ყველა სამედიცინო მომსახურება, რომელიც საჭიროა სტაციონარული მომსახურების გაწევისათვის ღამისთევსას (მაგ. ლაბორატორიული ანალიზები, დიაგნოსტიკური ვიზუალიზაციის მომსახურება);
- 06.3.2.0.7 მედიკამენტები და ჯანმრთელობის პროდუქტები (სამედიცინო, დამხმარე, თერაპიული), რომლებიც საჭიროა სტაციონარული მომსახურების გაწევისათვის ღამისთევსას;
- 06.3.2.0.8 დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია პაციენტისთვის "განთავსების ხარჯებთან" (მაგალითად, საკვების მომზადება, დასუფთავება, განთავსება) და პაციენტების ნათესავების მიღებასთან, თუ ეს აუცილებელია და უკავშირდება ღამისთევსას.

*არ მოიცავს:*

- სოციალური დაცვის მომსახურება (13.3);
- მოხუცთა სახლები და დაწესებულებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (13.3.0.2).

#### **06.4 ჯანდაცვის სხვა მომსახურება**

*მოიცავს:*

- დიაგნოსტიკური ვიზუალიზაციის მომსახურება და სამედიცინო ლაბორატორიული მომსახურება;
- პაციენტის გადაუდებელი გადაყვანის სერვისი და გადაუდებელი დახმარება.

##### **06.4.1 დიაგნოსტიკური ვიზუალიზაციის და სამედიცინო ლაბორატორიული მომსახურებები (S)**

##### **06.4.1.0 დიაგნოსტიკური ვიზუალიზაციის და სამედიცინო ლაბორატორიული მომსახურებები (S)**



მოიცავს:

- 06.4.1.0.1 სამედიცინო ლაბორატორიების მომსახურება (მაგ. შარდის/სისხლის ანალიზები);
- 06.4.1.0.2 დიაგნოსტიკური ვიზუალიზაციის მომსახურება, მათ შორის დიაგნოსტიკური ვიზუალიზაციის ყველა მეთოდი (მაგ. CT, MRI, სონოგრაფია).

არ მოიცავს:

- დიაგნოსტიკური ვიზუალიზაციისა და სამედიცინო ლაბორატორიული მომსახურებები, რომლებიც არ არის ცალკე გამოყოფილი ამბულატორიული პროფილაქტიკური მომსახურებისგან (06.2.1).

**06.4.2 პაციენტის გადაუდებელი გადაყვანის მომსახურება და გადაუდებელი დახმარება (S)**

**06.4.2.0 პაციენტის გადაუდებელი გადაყვანის მომსახურება და გადაუდებელი დახმარება (S)**

მოიცავს:

- 06.4.2.0.1 სასწრაფო დახმარების მომსახურება;
- 06.4.2.0.2 პირის ინდივიდუალური გადაყვანა თვითმფრინავით და ავტოტრანსპორტით გადაუდებელი სამედიცინო მიზეზების გამო;
- 06.4.2.0.3 საავარიო სატრანსპორტო მომსახურების წევრობა.

## 07 ტრანსპორტი

განყოფილება 07 მოიცავს საქონლისა და მომსახურების ოთხ ძირითად კატეგორიას, რომელიც ტრანსპორტირებისთვის არის განკუთვნილი: სატრანსპორტო საშუალებების შექმნა (07.1), საქონელი და მომსახურება პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისთვის (07.2), სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურება (07.3) და ტვირთის გადაზიდვის მომსახურება (07.4).

სატრანსპორტო საშუალებების შექმნა მოიცავს ავტომობილებს, მოტიციკლებს, ველოსიპედებსა და ცხოველებით მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს. ახალი და მეორადი ავტომობილებისთვის ცალკე ქვეკლასები არის გამოყოფილი, ინდივიდუალურ მოხმარებაში მეორადი ავტომობილების დიდი წილის გათვალისწინებით.

პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ჯგუფი მოიცავს პირადი სატრანსპორტო საშუალებების ნაწილებსა და აქსესუარებს, საწვავ-საპოხ მასალებსა და პირადი სატრანსპორტო საშუალებების შენახვასა და შეკეთებას. ეს ჯგუფი ასევე მოიცავს დანახარჯებს პარკირების ადგილებისთვის ავტოფარეხებში ან საჯარო ადგილებში, მოსაკრებლებსა და მართვის მოწმობის აღებაზე გაწეულ დანახარჯებს.

სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურება დაყოფილია სატრანსპორტო საშუალებების ტიპების მიხედვით. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ სატრანსპორტო ბილეთები შეიძლება მოიცავდეს ერთზე მეტი ტიპის სატრანსპორტო საშუალებას, ცალკე კლასია გამოყოფილი შერეული სამგზავრო ტრანსპორტისთვის (07.3.6).

მეოთხე ჯგუფი მოიცავს საფოსტო და საკურიერო მომსახურებას, გადაზიდვის და შენახვის მომსახურებას, ასევე ნებისმიერი სახის საქონლის მიტანის მომსახურებას, თუ მისი ღირებულება ცალკეა გამოყოფილი.

განყოფილება 07 არ მოიცავს რეკრეაციული სატრანსპორტო საშუალებების შექმნას, როგორცაა კემპერები, ფურგონები, ტრეილერები, აეროპლანები და ნავები (09.1.2).

### 07.1 სატრანსპორტო საშუალებების შექმნა

მოიცავს:

- ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების შექმნა.

არ მოიცავს:

- რეკრეაციული სატრანსპორტო საშუალებების შექმნა, როგორცაა კემპერები, ფურგონები, ტრეილერები, აეროპლანები და ნავები (09.1.2).

## 07.1.1 ავტომობილები (D)

### 07.1.1.1 ახალი ავტომობილები (D)

მოიცავს:

- 07.1.1.1.1 ახალი მსუბუქი ავტომობილები, სამგზავრო მინივენები, სამგზავრო უნივერსალის ტიპის ავტომობილები;
- 07.1.1.1.2 ახალი კროსოვერები (SUV), უგზოობის ავტომობილები (ყველგანმავლები), პიკაპები და მსგავსი ავტომობილები ორი ან ოთხი წამყვანი თვლით;
- 07.1.1.1.3 ახალი სარბოლო და საგამოფენო ავტომობილები;
- 07.1.1.1.4 ახალი მისაბმელები.

არ მოიცავს:

- ინვალიდის ეტლები (06.1.3.3);
- კემპერები (09.1.2.1);
- გოლფის მანქანები (09.1.2.9).

### 07.1.1.2 მეორადი მოხმარების ავტომობილები (D)

მოიცავს:

- 07.1.1.2.1 მეორადი მოხმარების მსუბუქი ავტომობილები, სამგზავრო მინივენები, სამგზავრო უნივერსალის ტიპის ავტომობილები;
- 07.1.1.2.2 მეორადი მოხმარების კროსოვერები (SUV), უგზოობის ავტომობილები (ყველგანმავლები), პიკაპები და მსგავსი ავტომობილები ორი ან ოთხი წამყვანი თვლით;
- 07.1.1.2.3 მეორადი მოხმარების სარბოლო და საგამოფენო ავტომობილები;
- 07.1.1.2.4 მეორადი მოხმარების მისაბმელები.

არ მოიცავს:

- ინვალიდის ეტლები (06.1.3.3);
- კემპერები (09.1.2.1);

— გოლფის მანქანები (09.1.2.9).

## 07.1.2 მოტოციკლები (D)

### 07.1.2.0 მოტოციკლები (D)

მოიცავს:

07.1.2.0.1 ყველა ტიპის მოტოციკლები, ძრავიანი სკუტერები და ძრავიანი ველოსიპედები შიგაწვის ძრავით.

07.1.2.0.2 მოტოციკლის ეტლები;

07.1.2.0.3 მეორადი მოხმარების მოტოციკლები;

07.1.2.0.4 თოვლმავლები.

არ მოიცავს:

— ელექტრონული ველოსიპედები (e-bike), პედელეკები (07.1.3.0).

## 07.1.3 ველოსიპედები (D)

### 07.1.3.0 ველოსიპედები (D)

მოიცავს:

07.1.3.0.1 ორთვლიანი და სამთვლიანი ველოსიპედები;

07.1.3.0.2 ველორიკშები;

07.1.3.0.3 ელექტრონული ველოსიპედები (e-bike), პედელეკები (ელექტრონული პედლებიანი ველოსიპედები).

არ მოიცავს:

— ძრავიანი ველოსიპედები შიგაწვის ძრავით (07.1.2.0);

— სათამაშო ორთვლიანი და სამთვლიანი ველოსიპედები (09.2.1.2);

— ოთხთვლიანი ველოსიპედები (09.1.2.9).

## 07.1.4 ცხოველებით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები (D)

### 07.1.4.0 ცხოველებით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები (D)

მოიცავს:

07.1.4.0.1 ცხოველებით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები;

07.1.4.0.2 სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის საჭირო ცხოველები

და აღჭურვილობა (უღელი, ყელსაბამი, აღკაზმულობა, ლაგამი, სადავეები და სხვ.).

არ მოიცავს:

- ცხენები და პონები, მათ მიერ მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები და აღჭურვილობა, შეძენილი რეკრეაციული მიზნით (09.1.2.4).

## 07.2 პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია

შინამეურნეობების მიერ სათადარიგო ნაწილების, აქსესუარების ან საწვავ-საპოხი მასალების შექმნა რემონტის ან მოვლის საკუთარი ძალებით განხორციელების მიზნით უნდა კლასიფიცირდეს (07.2.1)-ში ან (07.2.2)-ში. თუ შინამეურნეობა ანაზღაურებას აძლევს ორგანიზაციას აღნიშნული ოპერაციების განხორციელებისთვის, მომსახურების მთლიანი ღირებულება, მასალების ღირებულების ჩათვლით, უნდა კლასიფიცირდეს (07.2.3)-ში.

### 07.2.1 პირადი სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილები და აქსესუარები (SD)

მოიცავს:

- საბურავები (ახალი, მეორადი ან აღდგენილი), საბურავების კამერები, აალების სანთლები, აკუმულატორები, ამორტიზატორები, ფილტრები, ტუმბოები და სხვა სათადარიგო ნაწილები და აქსესუარები პირადი სატრანსპორტო საშუალებებისთვის;
- დისკის ხუფები, თუ ცალკე არის შეძენილი;
- ბავშვების და ჩვილების სავარძლები ავტომობილების, მოტოციკლებისა და ველოსიპედებისთვის;
- მოტოციკლებისა და ველოსიპედების უსაფრთხოების ჩაფხუტები;
- ცეცხლმაქრები სატრანსპორტო საშუალებებისთვის;
- სპეციალიზებული პროდუქტები სატრანსპორტო საშუალებების წმენდისა და მოვლისათვის, როგორცაა საღებავები, ქრომის საწმენდები, ჰერმეტიკები და ძარის პოლიროლები; ავტომობილებისა და მოტოციკლების გადასაფარებლები და სხვ.;
- ვიდეორეგისტრატორები.

ასევე მოიცავს:

- უსაფრთხოების ჩაფხუტები ჩამონტაჟებული კამერებით.

არ მოიცავს:

- არასპეციალიზებული პროდუქტები სატრანსპორტო საშუალებების წმენდისა და მოვლისათვის, როგორცაა გამოხდილი წყალი, საყოფაცხოვრებო ღრუბელი, ზამში, სარეცხი საშუალებები და სხვ. (05.6.1.1);
- სათადარიგო ნაწილებისა და აქსესუარების შეცვლის, ასევე სამღებრო, სამრეცხაო და პოლირების სამუშაოების ღირებულება (07.2.3.0);
- ავტომობილის რადიომიმღებები (08.1.4.0).

#### 07.2.1.1 საბურავები (SD)

მოიცავს:

- 07.2.1.1.1 ახალი საბურავები ავტომობილების, მოტოციკლებისა და ველოსიპედებისთვის;
- 07.2.1.1.2 მეორადი ან აღდგენილი საბურავები ავტომობილების, მოტოციკლებისა და ველოსიპედებისთვის.

#### 07.2.1.2 პირადი სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილები (SD)

მოიცავს:

- 07.2.1.2.1 აალების სანთლები;
- 07.2.1.2.2 აკუმულატორები;
- 07.2.1.2.3 ამორტიზატორები;
- 07.2.1.2.4 ფილტრები;
- 07.2.1.2.5 ტუმბოები;
- 07.2.1.2.6 დისკები;
- 07.2.1.2.9 სხვა სათადარიგო ნაწილები პირადი სატრანსპორტო საშუალებებისთვის.

არ მოიცავს:

- სათადარიგო ნაწილებისა და აქსესუარების შეცვლის, ასევე სამღებრო, სამრეცხაო და პოლირების სამუშაოების ღირებულება (07.2.3.0);

#### 07.2.1.3 პირადი სატრანსპორტო საშუალებების აქსესუარები (SD)

მოიცავს:

- 07.2.1.3.1 GPS ნავიგაციის მოწყობილობები პირადი სატრანსპორტო საშუალებებისთვის;
- 07.2.1.3.2 ვიდეორეგისტრატორები;
- 07.2.1.3.3 ბავშვების და ჩვილების სავარძლები ავტომობილების, მოტოციკლებისა და ველოსიპედებისთვის;
- 07.2.1.3.4 მოტოციკლებისა და ველოსიპედების უსაფრთხოების ჩაფხუტები;
- 07.2.1.3.5 ცეცხლმაქრები სატრანსპორტო საშუალებებისთვის;
- 07.2.1.3.6 ცალკე შექმნილი აქსესუარები პირადი სატრანსპორტო საშუალებებისთვის, როგორცაა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები, საბარგულები და სატვირთო კონტეინერები სახურავისთვის;
- 07.2.1.3.7 სპეციალიზებული პროდუქტები სატრანსპორტო საშუალებების წმენდისა და მოვლისათვის, როგორცაა საღებავები, ქრომის საწმენდები, ჰერმეტიკები და ძარის პოლიროლები;
- 07.2.1.3.8 დისკის ხუფები, თუ ცალკე არის შექმნილი;
- 07.2.1.3.9 პირადი სატრანსპორტო საშუალებების სხვა აქსესუარები.

*არ მოიცავს:*

- არასპეციალიზებული პროდუქტები სატრანსპორტო საშუალებების წმენდისა და მოვლისათვის, როგორცაა გამოხდილი წყალი, საყოფაცხოვრებო ღრუბელი, ზამში, სარეცხი საშუალებები და სხვ. (05.6.1.1);
- ავტომობილის რადიომიმღებები (08.1.4.0).

## **07.2.2 საწვავ-საპოხი მასალები პირადი სატრანსპორტო საშუალებებისთვის (ND)**

*მოიცავს:*

- ბენზინი და სხვა საწვავები, როგორცაა დიზელის საწვავი, თხევადი აირი, ალკოჰოლი და ნარევები ორტაქტიანი ძრავებისთვის;
- საპოხი მასალები, სამუხრუჭე და ტრანსმისიის სითხეები, გამაგრილებლები და დანამატები;
- ელექტროენერგია ავტომობილების საწვავის სახით, როდესაც იყიდება სხვა ელექტროენერგიისგან განცალკევებით;
- წყალბადი;
- საწვავ-საპოხი მასალები (05.5.1) ჯგუფში შემავალი ძირითადი ხელსაწყოებისა და აღჭურვილობისთვის და (09.1.2) ჯგუფში შემავალი რეკრეაციული სატრანსპორტო საშუალებებისთვის.

*არ მოიცავს:*

— ზეთის შეცვლისა და შეზეთვის მომსახურების ღირებულება (07.2.3.0).

#### **07.2.2.1 დიზელის საწვავი (ND)**

მოიცავს:

07.2.2.1.0 დიზელის საწვავი;

#### **07.2.2.2 ბენზინი (ND)**

მოიცავს:

07.2.2.2.1 ბენზინი;

07.2.2.2.2 გაზოლინი;

07.2.2.2.3 ბენზინის/გაზოლინის ნარევები.

არ მოიცავს:

— ნარევები ორტაქტიანი ძრავებისთვის (07.2.2.3).

#### **07.2.2.3 სხვა საწვავი პირადი სატრანსპორტო საშუალებებისთვის (ND)**

მოიცავს:

07.2.2.3.1 თხევადი აირი (LPG);

07.2.2.3.2 ბუნებრივი აირი (CNG, LNG);

07.2.2.3.3 ალკოჰოლი, ბიოსაწვავი (ეთანოლი, მეთანოლი), მეთანი;

07.2.2.3.4 საწვავის ნარევები ორტაქტიანი ძრავებისთვის;

07.2.2.3.5 ელექტროენერგია ავტომობილების საწვავის სახით, როდესაც იყიდება სხვა ელექტროენერგიისგან განცალკევებით;

07.2.2.3.6 წყალბადი.

#### **07.2.2.4 საპოხი მასალები (ND)**

მოიცავს:

07.2.2.4.1 საპოხი მასალები ძრავისა და ტრანსმისიისთვის;



- 07.2.2.4.2 სამუხრუჭე სითხეები;
- 07.2.2.4.3 გამაგრებელი სითხეები და დანამატები;
- 07.2.2.4.9 სხვა საპოხი მასალები.

*არ მოიცავს:*

- ზეთის შეცვლისა და შეზეთვის მომსახურების ღირებულება (07.2.3.0).

### **07.2.3 პირადი სატრანსპორტო საშუალებების მოვლა და შეკეთება (S)**

#### **07.2.3.0 პირადი სატრანსპორტო საშუალებების მოვლა და შეკეთება (S)**

მოიცავს მასალების ღირებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ცალკე არ არის გამოყოფილი.

მოიცავს პირადი სატრანსპორტო საშუალებების მოვლისა და შეკეთების მიზნით შეძენილ ისეთ მომსახურებას, როგორცაა:

- 07.2.3.0.1 სათადარიგო ნაწილების და აქსესუარების შეცვლა;
- 07.2.3.0.2 საბურავების შეცვლა, ბალანსირება;
- 07.2.3.0.3 ავტომობილის ზეთისა და ფილტრების შეცვლა;
- 07.2.3.0.4 ავარიული მომსახურება;
- 07.2.3.0.5 ავტომობილის რეცხვა;
- 07.2.3.0.6 ავტომობილების კამერების დაინსტალირება;
- 07.2.3.0.7 მეთუნუქის მომსახურება;
- 07.2.3.0.9 სხვა სახის მომსახურება პირადი სატრანსპორტო საშუალებების მოვლისა და შეკეთების მიზნით.

*არ მოიცავს:*

- შინამეურნეობების მიერ სათადარიგო ნაწილების, აქსესუარების ან საპოხი მასალების შეძენა, რემონტის ან მოვლის საკუთარი ძალებით განხორციელების მიზნით (07.2.1, 07.2.2.4);
- ვარგისიანობის შემოწმება (ტექნიკური დათვალიერება) (07.2.4.3).

### **07.2.4 პირად სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (S)**

*მოიცავს:*

- ავტოფარეხებისა და პარკირების ადგილების დაქირავება, რომელიც არ არის

- დაკავშირებული საცხოვრისთან;
- მუნიციპალური პარკირების ადგილების დაქირავება;
- პარკირების მრიცხველები;
- პარკირების ადგილის დაქირავების ღირებულება ისეთ ადგილებში, როგორცაა სავაჭრო ცენტრები, რამდენიმე საათით ან ნაკლები დროით (პარკირების ასისტენტის მომსახურების ჩათვლით).

ასევე მოიცავს:

- განსაზღვრულ ადგილებში პარკირების ნებართვები (მაგ. პარკირების ნებართვა მაცხოვრებლებისთვის);
- ხიდების, გვირაბების, გზატკეცილების და სხვა სახის მოსაკრებლები;
- მართვის გაკვეთილები, მართვის გამოცდები და მართვის მოწმობები;
- ვარგისიანობის შემოწმება და გამონაბოლქვის კონტროლი;
- პირადი სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლის გარეშე.

არ მოიცავს:

- ავტოფარეხებისა და პარკირების ადგილების დაქირავება, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრისთან (04.1.2.2);
- მანქანის დაქირავება მძღოლთან ერთად; სატრანსპორტო საშუალებების გაზიარების საფასური (პირადი შეთანხმების საფუძველზე) (07.3.2.2);
- პირადი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი (12.1.4.1).

#### 07.2.4.1 პარკირების მომსახურება (S)

მოიცავს:

- 07.2.4.1.1 ავტოფარეხებისა და პარკირების ადგილების დაქირავება, რომელიც არ არის დაკავშირებული საცხოვრისთან;
- 07.2.4.1.2 მუნიციპალური პარკირების ადგილების დაქირავება;
- 07.2.4.1.3 პარკირების მრიცხველების გადასახდელი;
- 07.2.4.1.4 პარკირების ადგილის დაქირავების ღირებულება ისეთ ადგილებში, როგორცაა სავაჭრო ცენტრები, რამდენიმე საათით ან ნაკლები დროით (პარკირების ასისტენტის მომსახურების ჩათვლით).

არ მოიცავს:

- ავტოფარეხებისა და პარკირების ადგილების დაქირავება, რომელიც

*დაკავშირებულია საცხოვრისთან (04.1.2.2);*

#### **07.2.4.2 მოსაკრებლები (S)**

მოიცავს:

07.2.4.2.1 ხიდების, გვირაბების, გზატკეცილების სარგებლობისთვის და სხვა სახის მოსაკრებლები.

#### **07.2.4.3 მართვის გაკვეთილები, გამოცდები, მართვის მოწმობები და ვარგისიანობის შემოწმება (S)**

მოიცავს:

07.2.4.3.1 მართვის გაკვეთილების, მართვის გამოცდების და მართვის მოწმობების აღების ღირებულება;

07.2.4.3.2 სატრანსპორტო საშუალების ვარგისიანობის შემოწმების და გამონაბოლქვის კონტროლის ღირებულება;

07.2.4.3.3 სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრის ცვლილების საფასური.

#### **07.2.4.4 პირადი სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლის გარეშე (S)**

მოიცავს:

07.2.4.4.1 პირადი სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლის გარეშე (მაგ. მანქანის დაქირავება);

07.2.4.4.2 მანქანების ან ველოსიპედების გაზიარებაში (ე.წ. „ქარშეარინგი“) მონაწილეობის საფასური.

*არ მოიცავს:*

— სატრანსპორტო საშუალებების გაზიარების საფასური (პირადი შეთანხმების საფუძველზე) (07.3.2.2);

— პირადი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი (12.1.4.1).

#### **07.3 სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურება**

სატრანსპორტო მომსახურების შექმნა, ჩვეულებრივ, იყოფა ტრანსპორტის ტიპის მიხედვით. როდესაც ერთი ბილეთი მოიცავს ტრანსპორტის ორ ან მეტ სახეობას

- მაგალითად, ქალაქის შიგნით ავტობუსი და მეტროპოლიტენი - და დანახარჯის გამიჯვნა მათ შორის შეუძლებელია, ასეთი მომსახურება უნდა კლასიფიცირდეს (07.3.5.0)-ში.

საკვების, წასახემსებლების, სასმელების ღირებულება და ღამის გასათევით მომსახურება უნდა შედიოდეს მაშინ, თუ იგი გათვალისწინებულია მგზავრობის ღირებულებით. თუ მათი ღირებულება ცალკეა გამოყოფილი, მათი კლასიფიცირება უნდა მოხდეს მე-11 განყოფილებაში.

აქვე შედის სასკოლო სატრანსპორტო მომსახურება, მაგრამ გამორიცხულია სასწრაფო სამედიცინო მომსახურება (06.4.2.0).

### **07.3.1 სამგზავრო სარკინიგზო ტრანსპორტი (S)**

#### **07.3.1.1 სამგზავრო სარკინიგზო ტრანსპორტი (S)**

მოიცავს:

- 07.3.1.1.1 ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობა მატარებლით, ჩქაროსნული მატარებლით, მაგნიტური მატარებლით;
- 07.3.1.1.2 მატარებლით პირადი სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანა.

არ მოიცავს:

— ფუნქციონირი (07.3.6.0).

#### **07.3.1.2 სამგზავრო ტრანსპორტი ჩქაროსნული მატარებლით და ტრამვაით (S)**

მოიცავს ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობას შემდეგი ტიპის ტრანსპორტით:

- 07.3.1.2.1 ჩქაროსნული ტრანზიტი (ელექტრო რკინიგზა, რომელიც ოპერირებს ლიანდაგების ცალკე გამოყოფილ ზოლზე, და რომელზეც წვდომა შეზღუდულია ფეხით მოსიარულეებისთვის და სხვა სატრანსპორტო საშუალებებისთვის; ის ხშირად განცალკევებულად მოძრაობს გვირაბებში ან ლიანდაგების ამალღებულ ზოლზე);
- 07.3.1.2.2 მეტროპოლიტენი, რეზინის თვლებიანი მეტროპოლიტენის ჩათვლით;
- 07.3.1.2.3 ტრამვაი.

### 07.3.2 სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი (S)

მოიცავს:

- ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობა ავტობუსით, ტროლეიბუსით და საქალაქთაშორისო ავტობუსით;
- ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობა სამარშრუტო ტაქსებით (სამარშრუტო ტაქსი თავისი შინაარსით ავტობუსსა და ტაქსს შორის მდებარეობს. ეს სატრანსპორტო საშუალებები, ჩვეულებრივ, ავტობუსებზე მცირე ზომისაა და მგზავრები გადაჰყავს ფიქსირებული ან ნახევრად ფიქსირებული მარშრუტით, გრაფიკის გარეშე. ისინი ჩერდებიან ყველგან მგზავრის აყვანის ან ჩამოსხმის მიზნით. გავრცელებულია განვითარებად ქვეყნებში და გამოიყენება 4-ადგილიანი მანქანიდან დაწყებული მინივენით დამთავრებული ზომის სატრანსპორტო საშუალებები. ხშირად იმართება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ);
- ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობა ტაქსით და დაქირავებული მძღოლიანი მანქანით;
- ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობა კერძო შეთანხმებების საფუძველზე, როგორცაა მანქანების ერთობლივი გამოყენება (გაზიარება);
- ადგილობრივი სასკოლო ავტობუსის მომსახურება, მძღოლით;
- განრიგს დაქვემდებარებული საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ავტობუსით მგზავრობა;
- მოსწავლეების გადაყვანა მათ სახლებსა და სკოლას შორის, სასოფლო ტერიტორიების ჩათვლით;
- ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობა ცხოველებით მოძრავი ტრანსპორტით, მძღოლთან ერთად.

ასევე მოიცავს:

- ტუკ-ტუკი, ავტო- და ველორიკშები, მოტოციკლები ტაქსის ფუნქციით.

#### 07.3.2.1 მგზავრობა ავტობუსით და საქალაქთაშორისო ავტობუსით (S)

მოიცავს ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობას შემდეგი ტიპის ტრანსპორტით:

- 07.3.2.1.1 ქალაქის შიგნით მგზავრობა ავტობუსით, მიკროავტობუსით და ტროლეიბუსით;

- 07.3.2.1.2 საქალაქთაშორისო მგზავრობა ავტობუსით და მიკროავტობუსით;
- 07.3.2.1.3 საგარეუბნო მგზავრობა ავტობუსით და მიკროავტობუსით.

#### **07.3.2.2 მგზავრობა ტაქსით და მძღოლთან ერთად დაქირავებული ტრანსპორტით (S)**

მოიცავს ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობას შემდეგი ტიპის ტრანსპორტით:

- 07.3.2.2.1 ტაქსი და დაქირავებული მძღოლიანი ტრანსპორტი;
- 07.3.2.2.2 ტრანსპორტის ერთობლივი გამოყენება (car-sharing).

#### **07.3.2.3 მოსწავლეების გადაყვანა სკოლამდე და სკოლიდან (S)**

მოიცავს:

- 07.3.2.3.1 ადგილობრივი სასკოლო ავტობუსის მომსახურება, მძღოლით;
- 07.3.2.3.2 განრიგს დაქვემდებარებული საგარეუბნო და საქალაქთაშორისო სასკოლო ავტობუსით მგზავრობა;
- 07.3.2.3.3 მოსწავლეების გადაყვანა მათ სახლებსა და სკოლას შორის, სასოფლო ტერიტორიების ჩათვლით.

#### **07.3.2.9 სხვა სახმელეთო სამგზავრო ტრანსპორტი (S)**

მოიცავს:

- 07.3.2.9.1 ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობა ცხოველებით მოძრავი ტრანსპორტით, მძღოლთან ერთად;
- 07.3.2.9.2 ტუკ-ტუკი, ავტო და ველორიკშები, მოტოციკლები ტაქსის ფუნქციით.

*არ მოიცავს:*

- ავტობუსი მძღოლით (07.3.2.1).

#### **07.3.3 სამგზავრო საჰაერო ტრანსპორტი (S)**

მოიცავს:

- ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობა თვითმფრინავითა და ვერტმფრენით.

ასევე მოიცავს:

— სამგზავრო დრონები და მულტიკოპტერები.

#### **07.3.3.1 ადგილობრივი სამგზავრო საჰაერო ტრანსპორტი (S)**

მოიცავს:

07.3.3.1.1 განრიგს დაქვემდებარებული და ჩარტერული სამგზავრო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება;

07.3.3.1.2 ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობა თვითმფრინავითა და ვერტმფრენით;

07.3.3.1.3 სამგზავრო დრონებით და მულტიკოპტერებით მგზავრობა.

#### **07.3.3.2 საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო ტრანსპორტი (S)**

მოიცავს:

07.3.3.2.1 განრიგს დაქვემდებარებული და ჩარტერული სამგზავრო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება;

07.3.3.2.2 სამგზავრო დრონებით და მულტიკოპტერებით მგზავრობა.

#### **07.3.4 საზღვაო და შიდა წყლებით სამგზავრო ტრანსპორტი (S)**

##### **07.3.4.0 საზღვაო და შიდა წყლებით სამგზავრო ტრანსპორტი (S)**

მოიცავს:

07.3.4.0.1 ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობა გემით, ნავით, ბორნით, ჰაერის ბალიშოანი გემით და წყალქვეშა ფრთებიანი გემით;

07.3.4.0.2 პირადი სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანა წყლის ტრანსპორტით;

07.3.4.0.3 წყლის ტაქსები.

### 07.3.5 შერეული სამგზავრო ტრანსპორტი (S)

#### 07.3.5.0 შერეული სამგზავრო ტრანსპორტი (S)

მოიცავს:

- 07.3.5.0.1 ადამიანების და მათი ჯგუფების ბარგთან ერთად მგზავრობა ტრანსპორტის ორი ან მეტი სახეობით, როდესაც დანახარჯების გამიჯვნა მათ შორის შეუძლებელია;
- 07.3.5.0.2 ერთი ბილეთით ხელმისაწვდომი მრავალი სახეობის ტრანსპორტი (მაგ. ავტობუსი, ტრამვაი, მეტროპოლიტენი, ბორანი);
- 07.3.5.0.3 პირადი სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანა (მაგ. რკინიგზის ბილეთი, რომელიც მოიცავს პირადი სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას).

არ მოიცავს:

- ტურისტული მოგზაურობა (09.8.0.0).

### 07.3.6 სხვა სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურება (S)

#### 07.3.6.0 სხვა სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურება (S)

მოიცავს:

- 07.3.6.0.1 ფუნქციონირი და საბაგირო;
- 07.3.6.0.2 ბარგის დატოვების მომსახურება (მოგზაურთა ბარგის შეზღუდული დროით შენახვა), ბარგის გადამისამართების ოფისების მომსახურება;
- 07.3.6.0.3 ტურისტული აგენტების საკომისიო, თუ ის ცალკეა გამოყოფილი;
- 07.3.6.0.4 მტვირთავის და ბარგის დამტარებლის მომსახურება;
- 07.3.6.0.9 სხვა სატრანსპორტო მომსახურება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

არ მოიცავს:

- საბაგიროს მომსახურება სათხილამურო კურორტებსა და დასასვენებელ ცენტრებში (09.4.6.2).



## 07.4 საქონლის გადაზიდვის მომსახურება

### 07.4.1 საფოსტო და საკურიერო მომსახურება (S)

მოიცავს:

- ახალი საფოსტო მარკები და სხვა წინასწარ ფრანკირებული საფოსტო ნაწარმი (მაგ. საფოსტო ბარათები, კონვერტები და სხვ.);
- საკურიერო მომსახურება წერილებისთვის;
- ამანათის მიტანის მომსახურება (ამანათების გაგზავნა და სახლში მიტანა);
- ონლაინ-შემენილი საქონლის ამანათით მიტანის მომსახურება;
- საკურიერო მომსახურება მცირე ამანათებისთვის;
- ავეჯის გადაზიდვის მომსახურება;
- ავეჯის შენახვის მომსახურება;
- საქონლის მიტანის მომსახურება, როგორცაა ავეჯი და სურსათი, თუ მისი ღირებულება ცალკეა გამოყოფილი;
- შემენილი საქონლის ადგილობრივი მიტანა, როგორცაა საკვები წასაღებად და რეცეპტით გამოწერილი მედიკამენტები;
- მიტანის მომსახურება, რომელიც ხორციელდება უშუალოდ საქონლის შემენის შემდეგ ან დაგეგმილია მოკლე დროში.

არ მოიცავს:

- შესანახი კამერების მომსახურება (04.1.2.2);
- ნივთების მონტაჟი (ავეჯის, ელექტროსაქონლის და სხვ.), თუ მისი ღირებულება ცალკეა გამოყოფილი (05.1.2.0, 05.3.3.0);
- მტვირთავის და ბარგის დამტარებლის მომსახურება, ბარგის დატოვების მომსახურება და ბარგის გადამისამართების ოფისები (07.3.6.0);
- საქონლის მიტანის მომსახურება, როგორცაა ავეჯის და სურსათის მიტანა, თუ მისი ღირებულება ცალკეა გამოყოფილი (07.4.9.2);
- საფოსტო ბარათები, კონვერტები და სხვა საფოსტო ნაწარმი წინასწარი ფრანკირების გარეშე (09.7.3.0).

#### 07.4.1.1 წერილის მიტანის მომსახურება (S)

მოიცავს:

- 07.4.1.1.1 ახალი საფოსტო მარკები და სხვა წინასწარ ფრანკირებული საფოსტო ნაწარმი (მაგ. საფოსტო ბარათები, კონვერტები და სხვ.);
- 07.4.1.1.2 საკურიერო მომსახურება წერილებისთვის.

*არ მოიცავს:*

- საფოსტო ბარათები, კონვერტები და სხვა საფოსტო ნაწარმი წინასწარი ფრანკირების გარეშე (09.7.3.0).

#### **07.4.1.2 საკურიერო და ამანათის მიტანის მომსახურება (S)**

*მოიცავს:*

- 07.4.1.2.1 ამანათის მიტანის მომსახურება (ამანათების გაგზავნა და სახლში მიტანა);
- 07.4.1.2.2 საკურიერო მომსახურება მცირე ამანათებისთვის;
- 07.4.1.2.3 ონლაინ-შემძენილი საქონლის ამანათით მიტანის მომსახურება.

*არ მოიცავს:*

- საქონლის მიტანის მომსახურება, როგორცაა ავეჯის და სურსათის მიტანა, თუ მისი ღირებულება ცალკეა გამოყოფილი (07.4.9.2);

#### **07.4.9 საქონლის სხვა ტრანსპორტირება (S)**

*მოიცავს:*

- ავეჯის გადაზიდვის მომსახურება;
- ავეჯის შენახვის მომსახურება;
- საქონლის მიწოდების მომსახურება, როგორცაა ავეჯის და სურსათის მიტანა, თუ მისი ღირებულება ცალკეა გამოყოფილი;
- შეძენილი საქონლის ადგილობრივი მიწოდება, როგორცაა საკვები წასაღებად და რეცეპტით გამოწერილი მედიკამენტები;
- მიწოდების მომსახურება, რომელიც ხორციელდება უშუალოდ საქონლის შეძენის მერე ან დაგეგმილია მოკლე დროში.

*არ მოიცავს:*

- შესანახი კამერები (04.1.2.2);
- ნივთების მონტაჟი (ავეჯის, ელექტროსაქონლის და სხვ.), თუ მისი ღირებულება ცალკეა გამოყოფილი (05.1.2.0, 05.3.3.0);
- მტვირთავის და ბარგის დამტარებლის მომსახურება, ბარგის დატოვების მომსახურება და ბარგის გადამისამართების ოფისები (07.3.6.0).

#### 07.4.9.1 გადაზიდვის და შენახვის მომსახურება (S)

მოიცავს:

07.4.9.1.1 ავეჯის გადაზიდვის მომსახურება;

07.4.9.1.2 ავეჯის შენახვის მომსახურება.

არ მოიცავს:

— შესანახი კამერები (04.1.2.2);

— მტვირთავის და ბარგის დამტარებლის მომსახურება, ბარგის დატოვების მომსახურება და ბარგის გადამისამართების ოფისები (07.3.6.0).

#### 07.4.9.2 საქონლის მიწოდება (S)

მოიცავს:

07.4.9.2.1 საქონლის მიწოდების მომსახურება, როგორცაა ავეჯი, პროდუქტები სუპერმარკეტიდან და სხვ., როდესაც მისი ღირებულება ცალკეა გამოყოფილი;

07.4.9.2.2 შეძენილი საქონლის ადგილობრივი მიწოდება, როგორცაა საკვები წასადებად და რეცეპტით გამოწერილი მედიკამენტები;

07.4.9.2.3 მიწოდების მომსახურება, რომელიც ხორციელდება უშუალოდ საქონლის შეძენის შემდეგ ან დაგეგმილია მოკლე დროში.

არ მოიცავს:

— ნივთების მონტაჟი (ავეჯის, ელექტროსაქონლის და სხვ.), თუ მისი ღირებულება ცალკეა გამოყოფილი (05.1.2.0, 05.3.3.0).

## 08 ინფორმაცია და კომუნიკაცია

განყოფილება 08 მოიცავს საქონლისა და მომსახურების 3 ძირითად ჯგუფს: საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოწყობილობები, ხმისა და გამოსახულების მიმღები, ჩამწერი და აღმწარმოებელი მოწყობილობების ჩათვლით (08.1), პროგრამული უზრუნველყოფა (08.2) და საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურება (08.3). საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურება მოიცავს სატელეფონო და სხვა სახის საკომუნიკაციო მომსახურებას, ინტერნეტზე წვდომის მომსახურებას, სატელევიზიო და რადიო ლიცენზიებს, ტარიფებს და სააბონენტო გადასახდელებს, ფილმებისა და მუსიკის სტრიმინგ მომსახურების ჩათვლით.

განყოფილება 08 ასევე მოიცავს საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოწყობილობების შეკეთებას, მოვლასა და დაქირავებას.

### 08.1 საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოწყობილობები

#### 08.1.1 ფიქსირებული სატელეფონო მოწყობილობები (D)

##### 08.1.1.0 ფიქსირებული სატელეფონო მოწყობილობები (D)

მოიცავს:

- 08.1.1.0.1 სახლის (ფიქსირებული) ტელეფონები;
- 08.1.1.0.2 რადიოტელეფონები;
- 08.1.1.0.3 ტელეფაქსის მოწყობილობები;
- 08.1.1.0.4 ავტომოპასუხეები და სატელეფონო დინამიკები.

*არ მოიცავს:*

- პერსონალური კომპიუტერების სატელეფაქსო და ავტომოპასუხის საშუალებები (08.1.3.1).

#### 08.1.2 მობილური სატელეფონო მოწყობილობები (D)

##### 08.1.2.0 მობილური სატელეფონო მოწყობილობები (D)

მოიცავს:

- 08.1.2.0.1 მობილური ტელეფონები;
- 08.1.2.0.2 სმარტფონები.

### 08.1.3 ინფორმაციის დამუშავების მოწყობილობები (D)

მოიცავს:

- პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პრინტერები, სკანერები, მონიტორები, პროექტორები, დამატებული რეალობის (AR) და ვირტუალური რეალობის (VR) მოწყობილობები, მოდემები, როუტერები, ქსელის სვიჩები და მსგავსი მოწყობილობები, კლავიატურები, მაუსები, დიჯიტაიზერები;
- პლანშეტები;
- კალკულატორები, ჯიბის კალკულატორების ჩათვლით;
- საბეჭდი მანქანები და ტექსტური პროცესორები;
- კარტრიჯები ტონერით და მელნით, ლაზერული პრინტერების ბარაბნები, საბეჭდი მანქანების ლენტები.

ასევე მოიცავს:

- პერსონალური კომპიუტერების სატელეფაქსო და ავტომოპასუხის საშუალებები.

არ მოიცავს:

- კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტები, როგორცაა ოპერაციული სისტემები, აპლიკაციები, პროგრამირების ენები და სხვ. (08.2.0.0);
- ვიდეოთამაშების პროგრამული უზრუნველყოფა; კომპიუტერები და კონსოლები ვიდეოთამაშებისთვის (09.2.1.1);
- მოძრავი მედიამატარებლები, წიგნების, ლექსიკონების, ენციკლოპედიების, უცხო ენის გაკვეთილების, მულტიმედიური პრეზენტაციების და სხვა ინფორმაციის შემცველი, პროგრამული უზრუნველყოფის სახით (09.7.1).

#### 08.1.3.1 კომპიუტერები, ლეპტოპები და პლანშეტები (D)

მოიცავს:

- 08.1.3.1.1 მაგიდის კომპიუტერები;
- 08.1.3.1.2 ლეპტოპები;
- 08.1.3.1.3 პლანშეტური კომპიუტერები;
- 08.1.3.1.4 პერსონალური კომპიუტერების სატელეფაქსო და ავტომოპასუხის საშუალებები.

არ მოიცავს:

- კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი, როგორცაა ოპერაციული სისტემები, აპლიკაციები, პროგრამირების ენები და სხვ. (08.2.0.0);
- ვიდეოთამაშების პროგრამული უზრუნველყოფა; კომპიუტერები და კონსოლები ვიდეოთამაშებისთვის (09.2.1.1);
- მოძრავი მედიამატარებლები, წიგნების, ლექსიკონების, ენციკლოპედიების, უცხო ენის გაკვეთილების, მულტიმედიური პრეზენტაციების და სხვა სახის ინფორმაციის შემცველი, პროგრამული უზრუნველყოფის სახით (09.7.1).

#### 08.1.3.2 პერიფერიული მოწყობილობები და მათი სახარჯი მასალები (D)

მოიცავს:

- 08.1.3.2.1 პრინტერები, სკანერები;
- 08.1.3.2.2 მონიტორები, პროექტორები, დამატებული რეალობის (AR) და ვირტუალური რეალობის (VR) მოწყობილობები;
- 08.1.3.2.3 მოდემები, როუტერები, ქსელის სვიჩები და მსგავსი მოწყობილობები;
- 08.1.3.2.4 კლავიატურები, მაუსები;
- 08.1.3.2.5 საბეჭდი მანქანები და ტექსტური პროცესორები;
- 08.1.3.2.6 კარტრიჯები ტონერით და მელნით, ლაზერული პრინტერების ბარაბნები, საბეჭდი მანქანების ლენტები;
- 08.1.3.2.7 კალკულატორები, ჯიბის კალკულატორების ჩათვლით;
- 08.1.3.2.8 ვებ-კამერები;
- 08.1.3.2.9 სხვა პერიფერიული მოწყობილობები.

#### 08.1.4 ხმისა და გამოსახულების მიმღები, ჩამწერი და აღმწარმოებელი მოწყობილობები (D)

##### 08.1.4.0 ხმისა და გამოსახულების მიმღები, ჩამწერი და აღმწარმოებელი მოწყობილობები (D)

მოიცავს:

- 08.1.4.0.1 ტელევიზორები;
- 08.1.4.0.2 ვიდეომანტიტოფონები და ჩამწერები, ციფრული ვიდეოჩამწერები, DVD აღმწარმოებელი, Blu-ray აღმწარმოებელი, Ultra HD Blue-ray აღმწარმოებელი;

- 08.1.4.0.3 რადიომიმღებები (რადიოები, ციფრული რადიოები, ინტერნეტ-რადიოები, თანამგზავრული რადიოები, მანქანის რადიოები, რადიო საათები, ორმხრივი რადიოები, რაციები, სამოყვარულო რადიომიმღებები და გადამცემები);
- 08.1.4.0.4 პორტატული და არაპორტატული CD აღმწარმოებლები; სტერეო მოწყობილობები და CD ჩამწერები;
- 08.1.4.0.5 ტუნერები, გამამღიერებლები, კასეტური დეკები, მიკროფონები და დინამიკები, DJ-მოწყობილობები, კარაოკეს სისტემები;
- 08.1.4.0.6 აუდიო და ვიდეო სისტემები მანქანებისთვის;
- 08.1.4.0.7 თანამგზავრული მიმღებები, IPTV მიმღებები, TV კონვერტორები;
- 08.1.4.0.8 ყურსასმენები და უსადენო/Bluetooth გარნიტურა;
- 08.1.4.0.9 ხმისა და გამოსახულების მიმღები, ჩამწერი და აღმწარმოებელი სხვა მოწყობილობები.

## 08.1.5 ჩაწერელი მედია-მატარებლები (SD)

### 08.1.5.0 ჩაწერელი მედია-მატარებლები (SD)

მოიცავს:

- 08.1.5.0.1 CD დისკები (R და RW);
- 08.1.5.0.2 DVD დისკები (R და RW);
- 08.1.5.0.3 Blu-ray დისკები (R და RW);
- 08.1.5.0.4 გარე მყარი დისკები, NAS-ები (ქსელთან მიერთებული საცავები);
- 08.1.5.0.5 USB-ბარათები;
- 08.1.5.0.6 SD ბარათები, კომპაქტური ფლეშ-ბარათები და სხვ.;
- 08.1.5.0.7 სხვა მაგნიტური მედია-მატარებლები ჩაწერისთვის;
- 08.1.5.0.8 სხვა ოპტიკური მედია-მატარებლები ჩაწერისთვის;
- 08.1.5.0.9 სხვა მედია-მატარებლები ჩაწერისთვის (მედია-მატარებლები ცვლადი ფაზებით, ჰოლოგრაფიული, მოლეკულარული).

არ მოიცავს:

- ჩაწერილი მედია-მატარებლები (09.5.2.0, 09.7.1).

## 08.1.9 სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოწყობილობები და აქსესუარები (D)

მოიცავს:

- რადიომიძებები;
- სმარტ-საათები;

- ფიტნეს-ტრეკერები და სხვა სატარებელი მოწყობილობები, როგორცაა სმარტ-სათვალები, რომელიც არ მუშაობს სმარტფონისა ან პლანშეტის გარეშე;
- ელექტრონული წიგნების წამკითხველები;
- დამტენები, აკუმულატორები, კაბელები, პაუერბანკები, დოკ-სადგურები, ეკრანის დამცავები, ქეისები, სამაგრები;
- კომპიუტერის კომპონენტები: მაგ. პროცესორები, შიდა მყარი დისკები, დედადაფები, მეხსიერება, DVD აღმწარმოებლები, მყარი დისკები.

#### **08.1.9.1 სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოწყობილობები (D)**

მოიცავს:

- 08.1.9.1.1 რადიომიმები;
- 08.1.9.1.2 სმარტ-საათები;
- 08.1.9.1.3 ფიტნეს-ტრეკერები და სხვა სატარებელი მოწყობილობები, როგორცაა სმარტ-სათვალები, რომელიც არ მუშაობს სმარტფონისა ან პლანშეტის გარეშე;
- 08.1.9.1.4 ელექტრონული წიგნების წამკითხველები.

#### **08.1.9.2 სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო აქსესუარები (SD)**

მოიცავს:

- 08.1.9.2.1 დამტენები, აკუმულატორები, პაუერბანკები;
- 08.1.9.2.2 კაბელები;
- 08.1.9.2.3 ეკრანის დამცავები, ქეისები, სამაგრები;
- 08.1.9.2.4 კომპიუტერის კომპონენტები: მაგ. პროცესორები, შიდა მყარი დისკები, დედადაფები, მეხსიერება, DVD აღმწარმოებლები, მყარი დისკები.

### **08.2 პროგრამული უზრუნველყოფა, თამაშების გარდა**

#### **08.2.0 პროგრამული უზრუნველყოფა, თამაშების გარდა (S)**

##### **08.2.0.0 პროგრამული უზრუნველყოფა, თამაშების გარდა (S)**

მოიცავს:

- 08.2.0.0.1 კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი,



- როგორცაა ოპერაციული სისტემები, პროგრამირების ენები და სხვ.;
- 08.2.0.0.2 პროგრამული უზრუნველყოფის სააბონენტო გადასახდელი და ონლაინ-პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება;
- 08.2.0.0.3 აპლიკაციები.

არ მოიცავს:

- ვიდეოთამაშების პროგრამული უზრუნველყოფა (09.2.1.1);
- მოძრავი მედიამატარებლები, წიგნების, ლექსკონების, ენციკლოპედიების, უცხო ენის გაკვეთილების, მულტიმედიური პრეზენტაციების და სხვა სახის ინფორმაციის შემცველი, პროგრამული უზრუნველყოფის სახით (09.7.1).

### **08.3 საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურება**

#### **08.3.1 ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება (S)**

##### **08.3.1.0 ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება (S)**

მოიცავს:

- 08.3.1.0.1 პერსონალური სატელეფონო მოწყობილობების დამონტაჟების ღირებულება;
- 08.3.1.0.2 პერსონალური სატელეფონო მოწყობილობების სააბონენტო გადასახდელის ღირებულება;
- 08.3.1.0.3 სატელეფონო ზარები პირადი ან საჯარო ქსელებიდან (საჯარო სატელეფონო ჯიხური, საფოსტო სატელეფონო ჯიხური და სხვ.);
- 08.3.1.0.4 ადგილობრივი, რეგიონალური და ეროვნული ზარები;
- 08.3.1.0.5 საერთაშორისო ზარები;
- 08.3.1.0.6 სატელეფონო ზარები სასტუმროებიდან, კაფეებიდან, რესტორნებიდან და მსგავსი დაწესებულებიდან.

#### **08.3.2 მობილური საკომუნიკაციო მომსახურება (S)**

##### **08.3.2.0 მობილური საკომუნიკაციო მომსახურება (S)**

მოიცავს:

- 08.3.2.0.1 ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო ზარები, ხმოვანი- და ვიდეოზარების ჩათვლით;
- 08.3.2.0.2 შეტყობინებები, ხმოვანი, ტექსტური (SMS) და გამოსახულებიანი (MMS) შეტყობინებების ჩათვლით, სხვა მესენჯერების სააბონენტო გადასახდელის ღირებულება;

- 08.3.2.0.3 ზარების დამატებითი ფუნქციები, როგორცაა ხმოვანი ფოსტა და ზარების ჩვენება, ცალკე გაყიდული ან სხვა მობილური საკომუნიკაციო მომსახურების სახეების პაკეტებთან ერთად;
- 08.3.2.0.4 ხმოვანი და ტექსტური მობილური მომსახურების პაკეტები, რომელიც ასევე მოიცავს შეზღუდული ოდენობის მონაცემთა გადაცემას;
- 08.3.2.0.5 ხმოვანი, ტექსტური და მონაცემთა გადაცემის მობილური სატელეფონო პაკეტები;
- 08.3.2.0.6 სატელეფონო მოწყობილობის ღირებულება, თუ იგი შედის სააბონენტო გადასახდელის ღირებულებაში;
- 08.3.2.0.7 მობილური ტელეფონები, რომელიც შეყვანილია პაკეტში, მაგ. წინასწარი ან შემდგომი გადახდის პაკეტში, ჩვეულებრივ, მიბმულია კონკრეტულ მობილურ ოპერატორთან დროს გაკრვეული პერიოდით, თუ მისი ფასი არ არის ცალკე გამოყოფილი;
- 08.3.2.0.9 სხვა მობილური სატელეფონო მომსახურება.

**08.3.3 ინტერნეტზე წვდომის და ქსელში შენახვის მომსახურება (S)**

**08.3.3.0 ინტერნეტზე წვდომის და ქსელში შენახვის მომსახურება (S)**

მოიცავს:

- 08.3.3.0.1 ინტერნეტზე წვდომის მომსახურება სადენიანი, უსადენო, თანამგზავრული ან მობილური საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ოპერატორების მიერ;
- 08.3.3.0.2 ღრუბლოვანი საცავები (cloud storage), ფაილების და ქსელის ჰოსტინგის მომსახურება;
- 08.3.3.0.3 სააბონენტო გადასახდელის ღირებულება ელექტრონული ფოსტის მომსახურებისთვის.

**08.3.4 კომპლექსური სატელეკომუნიკაციო მომსახურება (S)**

**08.3.4.0 კომპლექსური სატელეკომუნიკაციო მომსახურება (S)**

მოიცავს:

- 08.3.4.0.1 სატელეფონო/ინტერნეტის/სატელევიზიო პაკეტები;
- 08.3.4.0.2 სატელეკომუნიკაციო პაკეტების ნებისმიერი კომბინაცია.

**08.3.5 საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოწყობილობების შეკეთება და დაქირავება (S)**

**08.3.5.0 საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოწყობილობების შეკეთება და დაქირავება (S)**

მასალების ღირებულება შედის მხოლოდ იმ შემთვევაში, თუ ის ცალკე არ არის გამოყოფილი.

მოიცავს:

- 08.3.5.0.1 ყველა სახის საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოწყობილობების შეკეთება;
- 08.3.5.0.2 ტელეფონების, ტელეფაქსების, ავტომოპასუხეების და ტელეფონის დინამიკების დაქირავება;
- 08.3.5.0.3 უსადენო სატელეფონო მოწყობილობების დაქირავება;
- 08.3.5.0.4 ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფის მოწყობილობების დაქირავება;
- 08.3.5.0.5 ტელეგრაფის, ტელექსის, ტელეფაქსის, რადიოტელეფონის, რადიოტელეგრაფის და რადიოტელექსის მოწყობილობების დაქირავება;
- 08.3.5.0.9 სხვა სახის საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოწყობილობების შეკეთება და დაქირავება.

**08.3.9 სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურება (S)**

მოიცავს:

- ტელეგრაფის, ტელექსის და ტელეფაქსის მომსახურება;
- VoIP (Voice over Internet Protocol) მომსახურება;
- სატელევიზიო და რადიო ლიცენზიები;
- საკაბელო ტელევიზიის, თანამგზავრული ტელევიზიის, IPTV და Pay-TV სააბონენტო გადასახდელი;
- სთრიმინგ მომსახურება;
- ონლაინ ვიდეოჩაწერის მომსახურება (ინტერნეტზე დაფუძნებული DVR მომსახურება);
- VOD მოსახურება (video on demand - ვიდეო მოთხოვნისამებრ);
- CD დისკების, ვიდეოკასეტების, Blu-ray დისკების და პროგრამული უზრუნველყოფის (გარდა ვიდეოთამაშების პროგრამული უზრუნველყოფისა) დაქირავება ან სააბონენტო გადასახდელი.

ასევე მოიცავს:

- რადიოტელეფონის, რადიოტელეგრაფის და რადიოტელექსის მომსახურება;
- პროგრამული უზრუნველყოფის დაინსტალირების მომსახურება;
- დეკოდერის, ტელეზოქსის და სხვა მოწყობილობების დაქირავება/ ლიზინგი.

არ მოიცავს:

- ვიდეო თამაშების და ონლაინ-თამაშების პროგრამული უზრუნველყოფის დაქირავება ან საბონენტო გადასახდელი (09.4.3.1);
- აუდიო-ვიზუალური კონტენტი, შეძენილი ონლაინ დაუყოვნებლივ ჩამოტვირთვისთვის (09.5.2.0).

### **08.3.9.1 სატელევიზიო და რადიო ლიცენზიები და გადასახდელები (S)**

მოიცავს:

08.3.9.1.1 სატელევიზიო და რადიო ლიცენზიები.

### **08.3.9.2 აუდიო-ვიზუალური კონტენტის და სტრიმინგ მომსახურების საბონენტო გადასახდელი, აუდიო-ვიზუალური კონტენტის დაქირავება (S)**

მოიცავს:

- 08.3.9.2.1 საკაბელო ტელევიზიის, თანამგზავრული ტელევიზიის, IPTV, და Pay-TV საბონენტო გადასახდელი;
- 08.3.9.2.2 სტრიმინგ მომსახურება (ფილმები და მუსიკა);
- 08.3.9.2.3 CD დისკების, ვიდეოკასეტების, Blu-ray დისკების და პროგრამული უზრუნველყოფის (გარდა ვიდეოთამაშების პროგრამული უზრუნველყოფისა) დაქირავება, ჩამოტვირთვა ან საბონენტო გადასახდელი;
- 08.3.9.2.4 ონლაინ ვიდეოჩაწერის მომსახურება (ინტერნეტზე დაფუძნებული DVR მომსახურება);
- 08.3.9.2.5 VOD მომსახურება;
- 08.3.9.2.6 დეკოდერიანი ტელევიზიის საბონენტო გადასახდელი, დეკოდერის დაქირავება.

არ მოიცავს:

- ვიდეო თამაშების და ონლაინ-თამაშების პროგრამული უზრუნველყოფის დაქირავება ან საბონენტო გადასახდელი (09.2.1.1);

— აუდიო-ვიზუალური კონტენქტი, შექმნილი ონლაინ დაუყოვნებლივ ჩამოტვირთვისთვის (09.5.2.0).

**08.3.9.9 სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი (S)**

მოიცავს:

- 08.3.9.9.1 ტელეგრაფის, ტელექსის და ტელეფაქსის მომსახურება;
- 08.3.9.9.2 რადიოტელეფონის, რადიოტელეგრაფის და რადიოტელექსის მომსახურება;
- 08.3.9.9.3 VoIP (Voice over Internet Protocol) მომსახურება;
- 08.3.9.9.4 დეკოდერის დაქირავების/ლიზინგის ღირებულება;
- 08.3.9.9.5 პროგრამული უზრუნველყოფის დაინსტალირების მომსახურება.

## 09 დასვენება, სპორტი და კულტურა

განყოფილება 09 მოიცავს საქონლისა და მომსახურების ფართო სპექტრს დასვენების, სპორტისა და კულტურისთვის და დაყოფილია რვა ჯგუფად. პირველი ჯგუფი (09.1) მოიცავს ხანგრძლივი მოხმარების რეკრეაციულ პროდუქტებს: ფოტოგრაფიული მოწყობილობები, ხანგრძლივი მოხმარების სხვა ძირითადი პროდუქტები დასვენებისთვის, როგორცაა კემპერები, ნავეები, იახტები, თვითმფრინავები და სხვა მსგავსი. ჯგუფი 09.2 მოიცავს დასვენებისთვის განკუთვნილ ხანგრძლივი მოხმარების არამძირითად პროდუქტებს, როგორცაა თამაშები და სათამაშოები, მათ შორის, სათამაშო კომპიუტერები, სადღესასწაულო ნივთები, სპორტის, კემპინგის და ღია ცის ქვეშ დასვენების აღჭურვილობა. მესამე ჯგუფი (09.3) მოიცავს ბადის პროდუქტებს, მცენარეებს და ყვავილებს, შინაური ცხოველების შეძენას და მათზე გაწეულ ხარჯებს, გარდა ვეტერინარული მომსახურებისა. რეკრეაციული მომსახურება (09.4) მოიცავს განყოფილება 09-ში კლასიფიცირებული პროდუქტების ქირას, მოვლას და შეკეთებას, შინაური ცხოველების ვეტერინარულ და სხვა სახის მომსახურებას, გართობის და დასვენების მომსახურებას, როგორცაა გასართობი პარკები, აზარტული თამაშები და ხარჯები სპორტულ მომსახურებაზე, რომელიც მოიცავს როგორც სპორტული ვარჯიშების ხარჯებს, ისე სპორტულ ღონისძიებებზე დასწრების ხარჯებსაც.

ჯგუფი 09.5 მოიცავს კულტურასთან დაკავშირებულ პროდუქტებს, როგორცაა მუსიკალური ინსტრუმენტები და აუდიო-ვიზუალური საშუალებები, რომელსაც მოყვება კულტურულასთან დაკავშირებული მომსახურება (09.6), რაც მოიცავს კინოთეატრებს, თეატრებს, კონცერტებს, მუზეუმებს და სხვა კულტურულ სანახაობებს, ასევე ფოტოგრაფიულ მომსახურებას. წიგნები და გაზეთები კლასიფიცირებულია ჯგუფში 09.7, მიუხედავად იმისა, ისინი ნაბეჭდი თუ ელექტრონული ფორმისაა.

ბოლო ჯგუფი (09.8) მოიცავს ტურისტულ მოგზაურობას, რომელიც წარმოადგენს მრავალფეროვანი მომსახურების ნაკრებს, როგორცაა ტრანსპორტირება, განთავსება, საკვებით უზრუნველყოფა, გიდის მომსახურება და სხვ. ტურისტულ მოგზაურობაზე ხარჯის დაყოფა შეუძლებელია მის შემადგენელ კომპონენტებად, ამიტომ მისთვის შეიქმნა კლასიფიკაციის ცალკე კატეგორია. ტურისტული მოგზაურობის ხანგრძლივობას და დანიშნულების ადგილს, ქვეყნის შიგნით იქნება ის თუ ქვეყნის გარეთ, მნიშვნელობა არ აქვს.

**09.1 დასვენების ხანგრძლივი მოხმარების პროდუქტები**

**09.1.1 ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული აღჭურვილობა და ოპტიკური ინსტრუმენტები (D)**

მოიცავს:

- ფოტოკამერები, ვიდეოკამერები და ხმის ჩამწერი კამერები, ფირის და სლაიდის პროექტორები, გამადიდებლები და ფირის დასამუშავებელი მოწყობილობები;
- ვიდეოკამერები, action-კამერები;
- ეკრანები, საჩვენებლები, ლინზები (გამადიდებელი ლინზების ჩათვლით), მისამაგრებელი მასუქები, ფილტრები, ექსპონომეტრები და სხვ.;
- ფირის სამყლავნი და ფოტოგრაფიული ქაღალდი;
- ჭოგრიტები, მიკროსკოპები, ტელესკოპები და კომპასები.

ასევე მოიცავს:

- შინამეურნეობების მიერ დამოუკიდებლად შეკეთების მიზნით შეძენილი ცალკეული მასალები;
- ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული ფირები;
- ბატარეები და დამტენები კამერებისთვის და სხვა ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული აღჭურვილობა.

*არ მოიცავს:*

- *ავტომობილის ვიდეორეგისტრატორები (07.2.1.3);*
- *ვებ-კამერები (08.1.3.2).*

**09.1.1.1 კამერები (D)**

მოიცავს:

- 09.1.1.1.1 ფოტოკამერები, კინოკამერები და ხმის ჩამწერი კამერები;
- 09.1.1.1.2 ფირის და სლაიდის პროექტორები, გამადიდებლები და ფირის დასამუშავებელი მოწყობილობები;
- 09.1.1.1.3 ვიდეოკამერები, action-კამერები.

*არ მოიცავს:*

- *ავტომობილის ვიდეორეგისტრატორები (07.2.1.3);*

— ვებ-კამერები (08.1.3.2).

#### 09.1.1.2 ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული აღჭურვილობის აქსესუარები (D)

მოიცავს:

- 09.1.1.2.1 ეკრანები, ოკულარები, ლინზები (მათ შორის, გამადიდებელი ლინზები);
- 09.1.1.2.2 მისამაგრებელი მაშუქები, ფილტრები, ექსპონომეტრები;
- 09.1.1.2.3 ფირის სამქდავნი და ფოტოგრაფიული ქაღალდი;
- 09.1.1.2.4 ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული ფირები;
- 09.1.1.2.5 კამერების სპეციფიკური ბატარეები და დამტენები;
- 09.1.1.2.6 ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული აღჭურვილობის შეკეთება;
- 09.1.1.2.9 ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული აღჭურვილობის სხვა აქსესუარები.

#### 09.1.1.3 ოპტიკური ინსტრუმენტები (D)

მოიცავს:

- 09.1.1.3.0 ჭოგრიტები, მიკროსკოპები, ტელესკოპები და კომპასები.

#### 09.1.2 ხანგრძლივი მოხმარების სხვა ძირითადი პროდუქტები დასვენებისთვის (D)

მოიცავს:

- კემპერები, ფურგონები და ტრეილერები;
- თვითმფრინავები, მსუბუქი საფრენი აპარატები, პლანერები, დელტაპლანები და საჰაერო ბუშტები;
- ნავები, იახტები, კატერები, იალქნები, წყლის მოტოციკლები, გემსართავი და დაშენებები;
- დასასვენებელი ხომალდები, იალქნიანი ნავები, იალქნიანი დაფები, წყლის სპორტის დაფები;
- კანოეები, კაიაკები, ვინდსერფინგის დაფები;
- ზღვის მყვინთავის აღჭურვილობა;
- ცხენები, პონები, ცხენით ან პონით გადაადგილებული ტრანსპორტი, ორკუზიანი და ერთკუზიანი აქლემები, შეძენილი რეკრეაციული მიზნებისთვის და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობა (აღკაზმულობა,



- ლაგამი, სადავები, უნაგირები და სხვ.);
- გოლფის მანქანები;
- ფოლადის ჩარჩოს მქონე დიდი აუზები ბალისთვის;
- ბილიარდის მაგიდები, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები, პინბოლის აპარატები, სათამაშო აპარატები და სხვ.;
- ოთხბორბლიანი ველოსიპედები;
- ხანგრძლივი მოხმარების სხვა ძირითადი პროდუქტები დასვენებისთვის, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

ასევე მოიცავს:

- შინამეურნეობების მიერ დამოუკიდებლად შეკეთების მიზნით შექმნილი ცალკეული მასალები.

*არ მოიცავს:*

- ცხენები, პონები, ცხენით ან პონით გადაადგილებული ტრანსპორტი, ორკუზიანი და ერთკუზიანი აქლემები და დაკავშირებული აღჭურვილობა, შექმნილი ტრანსპორტირებისთვის (07.1.4.0);
- გასაბერი ნაგები, ტივები და საცურაო აუზები ბავშვებისთვის (09.2.2.2).

#### **09.1.2.1 კემპერები, ფურგონები და ტრაილერები (D)**

მოიცავს:

